ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 17 აგვისტო, 2021 №151 (8680) ფასი: 60 თეთრი

წინანდლის ტყეში ზურაბ ზვიადაურის ძმა და კიდევ 2 პირი მოკლეს



ზესტაფონში ბებიაზე ძალადობისთვის ზვიად ცერცვაძე დააკავეს

„კალაძეს მხოლოდ გახარია მოუგებს, მელია წაგებულ თამაშს თამაშობს“

მამუკა გამყრელიძე: „გირჩი, ევროპელები და ხოშტარია ნაცმოძრაობის უფრო „სვეცკი“ ვარიანტი არიან“

„ამერიკამ ივანიშვილს შემოუთვალა, ჩამოყალიბდეს, რა უნდა“

მირიან მირიანაშვილი: „დასავლეთში საქართველოს პოლიტიკური პარტიების სპექტაკლებს დიდი ხანია, ღიმილით ხვდებიან“

„ჩემი მიზანია, კალაძემ წააგოს არჩევნები და რეჟიმი დემოკრატიული გზით შეიცვალოს“

გედევან ფოფხაძე: „სისტემა ისეთი აგრესიული არ არის, როგორც სააკაშვილის დროს, მაგრამ ის მაინც მუშაობს თავის თავზე და არა ხალხზე“

„ევროპულმა საქართველომ“ მეროგის კანდიდატები დაასახელა

მიხეილ სააკაშვილი: „ანზორ მელიას კლინიკა მე გავხსენი ზუგდიდში, მახსოვს კარგად, როგორ უყვართ ზუგდიდელებს“

„ექიმმა თუ ასრაზე უარი გითხრათ, წერილობითი განმარტება მოსთხოვეთ“

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადება

ISSN 1987-9385

3 მარინა კალიურანდი: „საქართველომ უნდა გააუქმოს ბელარუსის უშიშროებასთან დადებული შეთანხმება“

4 წინასწარი რეგისტრაციის გარეშე ასრა 4 ქალაქშია შესაძლებელი

5 „ჩემს შვილს მისმა ქმარმა ლარნაკი თავში ჩაარტყა“ ოჯახური ძალადობა შიდა ქართლში

5 ეკა მიშველაძე: „კიდევ უფრო მიმძაფრდება ეჭვი, რომ ეს არ იყო ძარცვა“

„კალაძეს მხოლოდ გახარია მოუგებს, მელია წაგებულ თამაშს თამაშობს“

მამუკა გამყრელიძე: „გირჩი, ევროპელები და ხოშტარია ნაცმოძრაობის უფრო „სვეცკი“ ვარიანტი არიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, არჩევნები ახლოვდება, პოლიტიკური პარტიები კანდიდატებს ყოველდღიურ რეჟიმში ასახელებენ. ვერ მოხერხდა ოპოზიციური ერთობა და ერთიანი კანდიდატები. ნაცმოძრაობამ ყველა დიდ ქალაქში თავისი კანდიდატები წარადგინა. საუბარია, რომ ნაცმოძრაობა ცდილობს იყოს მთავარი ოპოზიცია და სხვა პატარა პარტიები დაჩრდილოს. რას იტყვით თქვენ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით?

– უპირველეს ყოვლისა, ძალიან პოზიტიურად ვუყურებ იმას, რომ პოლიტიკური ველი გაიშალა. ვინაიდან კანონმდებლობით ბლოკები აღარ არის, ყველა პარტიას მოუწევს ცალ-ცალკე გასვლა და თავისი შესაძლებლობების ჩვენება.

– მაშინ ნაცმოძრაობა რატომ აცხადებს, რომ ერთიანი ოპოზიციაა?

– ჩემი აზრით, ეს ძალიან ცუდი ტაქტიკაა, რადგან ამომრჩევლის დაბნევის მეტს არაფერს არ გააკეთებს. რეალურად, გაერთიანებული ოპოზიცია აღარ არსებობს, გამომდინარე კანონმდებლობიდან, ის დაიშალა. არც ამ არჩევნებზე და არც მომავალ არჩევნებზე, არსებული კანონმდებლობით, ბლოკები აღარ იქნება.

– მაშინ რა გამოდის, მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში ამომრჩეველი?

– ასე გამოდის. გაუგებარია მათი პოზიცია. მივა ადამიანი საარჩევნო ყუთთან, ნახავს, რომ ბიულეტენში არ წერია ეს ბლოკი „ძალა ერთობაშია“. სირცხვილია იმის თქმა, რომ ნაციონალური მოძრაობა არიან?! ძალიან დიდი ნეგატივია ნაციონალური მოძრაობის გარშემო და ამ „ძალა ერთობაშია“-ს სახელის უკან უნდათ დამალვა, თუ რა უნდათ, ვერ გავიგე. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარია. გაუგებარია სხვა გაერთიანებებიც, კანონით ეს დაშვებული არ არის და ვერ ვხვდები, ვინ რისთვის იკრიბება. ერთმანეთთან კომუნიკაცია და კანდიდატების შეთანხმება, კი ბატონო, გასაგებია.

– თუმცა ყველა დიდ ქალაქში ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიული ლიდერები წარადგინა.

– რა ჩემი საქმეა, ეს მათი ტაქტიკაა, მაგრამ ყველა დიდ ქალაქში დააყენეს დეპუტატები. რომ მოიგონ, დატოვებენ დეპუტატის მანდატს?! ვერ გავიგე, რას ცდილობენ, რა უნდათ.

– სხვა პატარა ოპოზიციურ პარტიებს შანსიც კი არ დაუტოვესო. არ უნდათ, რომ დათმონ პირველი ოპოზიციური სტატუსი? ბოლო პერიოდში ხშირად ვისმენთ შეფასებებს, რომ ნაცმოძრაობა ბიძინას თამაშს თამაშობს. რას იტყვით თქვენ?

– ეს უდავოა. თუმცა მე არ დავაბრალებდი, რომ ეს წინასწარ განზრახული და შეთანხმებული თამაშია. თუმცა ის, რომ პოლარიზება და ორი დიდი პოლუსის წარმოქმნა აწყობს მხოლოდ ორ პარტიას, ეს არის „ქართული ოცნება“ და ეს არის ნაციონალური მოძრაობა, ამას წყალი არ გაუვა! მთავარი ის არის, ჩვენ ვხედავთ ძალიან ნათლად, რომ შუაში ამომრჩევლის ძალიან დიდი რაოდენობა დაგროვდა, 51%, რომელსაც არ უნდა არც ნაციონალური მოძრაობა და არც „ქართული ოცნება“. ამიტომ ამ პოლიტიკური სპექტრის გადაშლა ძალიან კარგია. ამომრჩეველი ამოარჩევს მისთვის ასე თუ ისე მისაღებ პარტიას. მრავალფეროვნება ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია. ორპოლუსიანობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს. არ შეიძლება პატარა პარტიებმა თავისი თავი ჩარჩოებში ჩააყენონ და რამით შეიზღუდონ, ან ამის გამო დიდ ძალასთან აფილირება გააკეთონ.

– რას ან ვის გულისხმობთ?

– გირჩი, ევროპელები და ხოშტარია რომ ვითომ გაერთიანდნენ. როგორ უნდა გაერთიანდე, როცა გაერთიანება კანონით არ არსებობს. რეალურად ისინი პირდაპირ გვიჩვენებენ, რომ აფილირებულები არიან ნაციონალურ მოძრაობასთან. ისინი ნაცმოძრაობის უფრო „სვეცკი“ ვარიანტი არიან. ეს რისი მომცემია, არ ვიცი. რატომ აიგივებენ თავს ნაცმოძრაობასთან? როცა იგივე აღმაშენებელი, ლელო, იგივე გახარიაც, ცდილობს შუაშისტობას, რაც ძალიან სწორი სტრატეგიაა. ამ სიტუაციაში რომელიმე მხარეს გადახრა, ეს არის ამ ორი პარტიის, ნაცმოძრაობის და „ოცნების“ თამაშის გაგრძელება.

– გახარია ახსენეთ და მის სტრატეგიაზე რას ფიქრობთ? საკმაოდ რბილი და არააგრესიული კამპანია აქვს. ამბობენ იმასაც, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, „ოცნების“ მხარეს უფრო აღმოჩნდება, ვიდრე დანარჩენი ოპოზიციისო.

– კი, რა თქმა უნდა. ის ცდილობს, პოზიტიური კამპანია აწარმოოს, რამდენად გამოუვა. არ ვიცი, მაგრამ რეალურად ვხედავთ, რომ უფრო გადახრილია „ქართული ოცნებისკენ“, ვიდრე ნაციონალური მოძრაობისკენ. მათ პირდაპირ დააფიქსირეს, რომ ნაცმოძრაობა მათი მტერია. შეეცდებიან, ჯერ მოუგონ ნაციონალურ მოძრაობას და მერე „ქართულ ოცნებას“. აქედან გამომდინარე მათ უნდათ პირველი ოპოზიციური როლის აღება და თუ ამის შესაძლებლობა იქნება, მე არ გამოვრიცხავ, კოალიციაში დავინახოთ გახარია და „ქართული ოცნება“. ერთმანეთთან იდეოლოგიურად უფრო ახლოს არიან, ვიდრე სხვა პარტიებთან. ვანახოთ, რა იქნება საპარლამენტო არჩევნებზე, დღეს კი ყველაზე მთავარი არიას ის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთად დააგროვოს იმდენი პროცენტი, რომ „ოცნებამ“ ვერ მოახერხოს 43%-ის აღება. აი ეს პატარა მიზეზიც საკმარისია, სულ არ არის საჭირო ქალაქის მერობისთვის ბრძოლა.

– გახარია რატომ აგვიანებს კანდიდატების დასახელებას, რა ხდება? არის იმის შანსი, რომ თბილისში საერთო არ დაუყენონ კალაძეს კანდიდატი?

– მე ასე მგონია, ერთ-ერთი არველაძე რომ დაეთანხმებინა გახარიას იმაზე, რომ წასულიყო ქალაქის მერად, ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევდნენ კალაძეს. მელიას ხომ გაუწევდნენ და გაუწევდნენ. თუმცა არ წავიდა არველაძე ამაზე და არ მოინდომა ამ პოლიტიკაში შესვლა. ახლა არ ვიცი, ვის დაასახელებს გახარია. თვითონ რომ დააყენოს თავისი თავი, დარწმუნებული ვარ, მოიგებს. თუმცა, შემდეგ გაუჭირდება უფრო დიდი მიზნებისთვის ბრძოლა.

– იმის თქმა გინდათ, რომ კალაძეს მოუგებს გახარია?

– კი, ამ ეტაპზე გახარია მოუგებს კალაძეს. დღეს ხალხი უშვებს იმას, რომ იქნება მხოლოდ ორი კანდიდატი. რეალურად მართლა ასეა. ოპოზიციამ საერთოდ უარი თქვა კანდიდატის დაყენებაზე და დარჩნენ მელია და კალაძე. რა ვქნა, სიმართლის თქმა მიყვარს, მელიას უკვე წაგებული აქვს. ნაცმოძრაობას ძალიან დიდი ნეგატივი მოყვება.

– უკვე წაგებულ თამაშს თამაშობს მელია?

– კი, ასეა. მარტო ნაცმოძრაობის იმედად, კალაძეს ვერ მოუგებს. უფრო მელიას წინააღმდეგ მისცემენ ხმას კალაძეს, ვიდრე იმიტომ, რომ კალაძე მოსწონთ. ვიღაცა მესამე სხვა რომ ყოფილიყო, შედარებით მომხიბვლელი, ის, როგორც მინიმუმ, სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა კალაძეს. არველაძე იქნებოდა ძალიან ძლიერი კანდიდატი, სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა კალაძეს.

– გამოდის, რომ დანარჩენი ოპოზიცია თბილისს უთმობს „ოცნებას“ და ნაცმოძრაობას?

– სხვა რომელ ქალაქს არ უთმობს?! ნაცმოძრაობას არა, მთლიანად „ოცნებას“ უთმობენ. ქუთაისში, დარწმუნებული ვარ, ხატიას ძალიან გაუჭირდება. ასევე, ზუგდიდში მელიას. თუმცა, რა ჩემი საქმეა. ჩვენი პარტია მხოლოდ საკრებულოს წევრებზეა ორიენტირებული, ქალაქის მერებზე არ ვართ ორიენტირებული.

– რატომ, ეს რა სტრატეგიაა?

– ჩვენ ვიცით ჩვენი შესაძლებლობები, შესაბამისად, არ ვხარჯავთ ზედმეტ რესურსებს. ჩვენ გვინდა გარკვეული ხმების აღება, რომელიც შემდეგ უნდა წავიდეს საერთო ყულაბაში. აი ამ საერთო ყულაბაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირება და არა ეფემერულ ქალაქის მერებზე.

– 43% ახსენეთ და „ოცნებამ“ ეს ვალდებულებაც რომ მიხსნა?

– იცით რა, ვალდებულების მოხსნა ცალმხრივად, ძალიან რთულია. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ვალდებულება მაინც ჰაერში ჰკიდია. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპის ქვეყნები, აუცილებლად მოსთხოვენ ჩვენს ხელისუფლებას რაღაცა სახით ვალდებულების შესრულებას. თუ ვერ აიღო „ქართულმა ოცნებამ“ ეს 43%, მას მაინც მოუწევს ვადამდელი არჩევნების ჩატარება.

მიხეილ სააკაშვილი: „ანზორ მელიას კლინიკა მე გავხსენი ზუგდიდში, მახსოვს კარგად, როგორ უყვართ ზუგდიდელებს“

– ანზორ მელიას კლინიკა მე გავხსენი ზუგდიდში მასთან ერთად და მახსოვს კარგად, როგორ უყვართ ზუგდიდელებს.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

როგორც სააკაშვილი აღნიშნავს, ანზორ მელია ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი პატრიოტი.

„მთელი გულით მივესალმები ანზორ მელიას ზუგდიდის მერის კანდიდატად დაყენებას. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ყველაფერზე მაღლა, თავის კარიერაზე, შემოსავლებზე, სხვა პირად საკითხებზე უნდა დააყენოს თავის სამშობლო, ახლა საქართველოში არის ეს მომენტი და ანზორ მელია ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი პატრიოტი.

ეს არ არის ჩვეულებრივი ადგილობრივი არჩევნები, ეს არის რეფერენდუმი, საქართველოს უზურპატორული არჩევნების, მომპარავი ხელისუფლების მოშორებაზე და, რა თქმა უნდა, ყველამ, ყველაფერი უნდა გავიღოთ ამისთვის.

ანზორ მელიას კლინიკა მე გავხსენი ზუგდიდში მასთან ერთად და მახსოვს კარგად, როგორ უყვართ ზუგდიდელებს, ეს არის საუკეთესო წარმომადგენელი სამეგრელოში, ზუგდიდის და მთლიანად საქართველოში.

წარმატებები მას და წარმატებები თითოეულ ჩვენგანს, წარმატებები ჩვენს სამშობლოს“ – წერს სააკაშვილი.

სააკაშვილმა ავღანეთში მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, ავღანეთის არმია ჩამოიშალა კორუფციის და სრული რწმენის არქონის გამო საკუთარ მთავრობაში, რაც დღეს საქართველოში ხდება.

„რა სცენებსაც ვუყურებთ ახლა ავღანეთის აეროპორტში, ეს იყო, რაც მოხდა სოხუმში 1993 წელს და ეს იქნებოდა ის, რაც მოხდებოდა თბილისში 2008 წელს, მე რომ მიმეღო ზოგიერთი ჩვენი „კეთილმოსურნის“ წინადადება და დავმორჩილებოდი რუსეთის შანტაჟს და დამეტოვებინა ქვეყანა, იმიტომ, რომ ერთ-ერთი აეროპორტი, რომელსაც არ ბომბავდნენ და რომელიც გახსნილი იყო,

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, მხოლოდ ერთადერთი მიზნით, რომ მე და ჩემს ოჯახს დაგვეტოვებინა საქართველო და მე ამაზე კატეგორიულად უარი ვთქვი, რითიც გადავარჩინე ჩვენი დედაქალაქი და გადავარჩინე ჩვენი ქვეყანა.

რაც შეეხება, იმას თუ რატომ ჩამოიშალა ავღანეთის არმია – ჩამოიშალა კორუფციის და სრული რწმენის არქონის გამო საკუთარ მთავრობაში.

ის, რაც ხდება დღეს საქართველოში – დღეს საქართველო არის უფრო დაუცველი, ვიდრე არასდროს. დღეს საქართველოში იგივე რამე, მსგავსიც რომ გამეორდეს მიახლოებითაც, ქართული სახელმწიფო გაქრება. ამიტომ ჩვენ უნდა დროზე დავიცვათ ჩვენი თავი და გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა“ – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქში.

ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მამუკა ბარათაშვილი დაინიშნა

ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მამუკა ბარათაშვილი დაინიშნა.

ინფორმაციას ამის შესახებ სამინისტრო ავრცელებს.

„მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დაიკავა სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, მამუკა ბარათაშვილმა.

იგი 1999 წლიდან მუშაობს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2011-2020 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; 2020 წლის თებერვლიდან – სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე“ – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჩემი მიზანია, კალაძემ წააგოს არჩევნები და რეჟიმი დემოკრატიული გზით შეიცვალოს“

გედევან ფოფხაძე: „სისტემა ისეთი აგრესიული არ არის, როგორც სააკაშვილის დროს, მაგრამ ის მაინც მუშაობს თავის თავზე და არა ხალხზე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია წაგებულ თამაშს თამაშობს. ეთანხმებით?

– მე არ ვეთანხმები ამ შეფასებას. შეძლებით ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ როდესაც ქვეყანაში უზურპატორი ხელისუფლებაა, ორი ვარიანტი რჩება: ან იღებ იარაღს ხელში და სახელმწიფო აჯანყებას აწყობ, ან არჩევნების გზით, სამართლებრივი გზით ცდილობ ხელისუფლების შეცვლას. ქვეყნის მომავალზეა საუბარი და ამ ქვეყნის მომავალს ქუჩაში ავტომატიანი ხალხი არ აწყობს. ამ რეალობაში წაგებულ და მოგებულ თამაშზე საუბარი არ შეიძლება. არსებობს ვალდებულება და ეს ვალდებულება აკისრია ოპოზიციას, რომ ქვეყანამ არ დაკარგოს ევროპული მომავალი და დემოკრატიული განვითარების გზა. ოპოზიციამ თავისი გასაკეთებელი უნდა გააკეთოს.

– რამდენად ართმევს მერე თავს?

– რამდენად კონსოლიდირებული იქნება, რამდენად ბრძოლისუნარიანი იქნება, რა შედეგს დადებს, ეს ტექნიკური საკითხია. თან იმ პირობებში, როდესაც მეორე მხარეს ძალიან მაღალია სუსის ფაქტორი. დღეს ოპოზიციას ბრძოლა უწევს არა პარტია „ქართულ ოცნებასთან“, არამედ სახელმწიფო მანქანასთან, რომელიც ამ ბრძოლაში მთელი თავისი რესურსით არის ჩართული.

– რა მოლოდინი გაქვთ, ამ არჩევნებზე მნიშვნელოვანი შედეგის დადებას შეძლებს ოპოზიცია, რომ ხალხში იმედგაცრუება არ მოჰყვეს მთელ პროცესს?

– ოპოზიციაში ძალიან დიდ ხანს ვიყავი და გასაგებია, რაზეც საუბრობთ. თუმცა, აქ მთავარია ამ ბრძოლას მორალური დატვირთვა მისცე. აქვს ამ ბრძოლას მორალური ფასი თუ არ აქვს? თუ ამ ბრძოლაში ამ ფორმით არ მივიღებთ მონაწილეობას, ალტერნატივაზე უკვე ვისაუბრე – შეიარაღებული აჯანყების მოწყობა უზურპატორი ხელისუფლების წინააღმდეგ.

– თბილისში კალაძეს რეიტინგი აქვს.

– კალაძის რეიტინგი დაბალი არ არის თბილისში, მაგრამ ასე საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრეებიც ბევრნი იყვნენ ამ ქვეყანაში. 1932-წლის აჯანყებაში, ფიქრობთ, მოსახლეობის 60%-მა მიიღო მონაწილეობა?! რასაკვირველია, არა. ამ შემთხვევაშიც საუბარია ბრძოლის მორალურ ფასზე. საქართველოში ადამიანებს პუტინიც კი მოსწონთ. პუტინსაც აქვს რეიტინგი. ამ ბრძოლაში სულ სხვა რამეზეა საუბარი. საუბარია იმაზე, ვისი გამარჯვება არის ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს გამარჯვება. კალაძის გამარჯვება ნამდვილად არ არის ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის გამარჯვება. კალაძის გამარჯვება არის სისტემის გამარჯვება. ბრძოლა მიდის სისტემასა და ხალხს შორის. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს. ჩემი მიზანი ამ ბრძოლაში არის, კალაძემ წააგოს არჩევნები და რეჟიმი დემოკრატიული გზით შეიცვალოს.

როდესაც ამაზე ვსაუბრობ, იმას კი არ ვამბობ, რომ ვინც „ქართულ ოცნებაშია,“ ყველა სამშობლოს მოღალატე და მტერია. ისინი სისტემას ემსახურებიან.

– ერთ დროს „ქართული ოცნების“ ნაწილი იყავით. კარგად იცნობთ გუნდს. შეიძლება ის პოლიტიკა, რაც ტარდება, არც გუნდში მოსწონდეთ და ხმას ვერ იღებდნენ?

– რა თქმა უნდა! როგორ შეიძლება ყველაფერი მოგწონდეს და ამ ყველაფერს კრიტიკის გარეშე იღებდე, მეტიც, მხარს უჭერდე?! მაგრამ ბუდუ მდივანსაც და ფილიპე მახარაძესაც არ მოსწონდათ ის, რაც შექმნეს, უბრალოდ მიიღეს მის შექმნაში მონაწილეობა. ამაშია საქმე. ყველამ კარგად იცის, რაც მოჰყვა ამ ყველაფერს შედეგად. ბუდუ მდივანი თავისი შვილებით ციხეში აღმოჩნდა, ფილიპე მახარაძე კი დახვრიტეს. საუბარი იმაზე, ვინმეს მოსწონს ან არ მოსწონს ის პოლიტიკა, რაც დღეს ქვეყანაშია, უკვე გვიანია, რადგან ისინი ამ სისტემას ემსახურებიან და მის ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა. სისტემა კი თავისას ითხოვს. ეს პრობლემა იყო სააკაშვილის მმართველობის დროს და ამის გასაპროტესტებლად გამოდიოდა ხალხი ქუჩაში. მეტ-ნაკლებად იგივე მოცემულობა გვაქვს დღეს. სისტემა ისეთი აგრესიული არ არის, როგორც სააკაშვილის დროს, მაგრამ ის მაინც მუშაობს თავის თავზე და არა ხალხზე. ამიტომ ვამბობ, რომ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მორალური ფასი აქვს, ვიდრე პროცენტული მაჩვენებლები.

– გახარიას როლი როგორია ამ ბრძოლაში?

– გახარია გაიმარჯვებს სისტემაზე, მელია თუ ბოკერია, ისინი დღეს ხალხის ინტერესების დამცველები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის, როგორც კონსერვატორისთვის, არც ერთი მათგანის იდეოლოგია არ არის მისაღები. აქ, მთავარია სისტემის წინააღმდეგ კონსოლიდაცია, როგორც ეს იყო თუნდაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

„ევროპულმა საქართველომ“ მერობის კანდიდატები დაასახელა

პარტია „ევროპულმა საქართველომ“ მერობის კანდიდატები დაასახელა. პარტიის თავმჯდომარის გიგა ბოკერიას განცხადებით, ოპოზიციურმა პარტიებმა სხვადასხვა ოლქებსა და მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა შემადგენლობით შეძლეს გონივრული კომპრომისის პოვნა.

– მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა კონსულტაციებისა და კოორდინაციის სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის, თქვენ იცით, რომ „ევროპული საქართველო“ ყოველთვის იყო ამის ინიციატორი, იმიტომ, რომ სწორ სტრატეგიად მიგვაჩნია ამ ბრძოლაში, ამ არჩევნებში, რომელიც სულაც არ არის არათუ ჩვეულებრივი თვითმმართველობის არჩევნები, უბრალო არჩევნებიც არ არის, ეს არის შესაძლებლობა და შანსი, რომ დავამარცხოთ რეჟიმი, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს. ამ არჩევნებზე წყდება ბედი, გვექნება თუ არ შესაძლებლობა სწრაფად გამოვიდეთ ამ უმძიმესი ვითარებიდან, რასაც ვაწყდებით ყველანი ჩვენ ქვეყანაში, დაწყებული კოვიდის ვითარებიდან, სადაც მთავრობამ დემონსტრატიულად ფეხებზე დაიკიდა ჩვენი მოქალაქეების ბედი, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, კორუფციით, უსაფრთხოებით, ჩვენი თავისუფლებით, ჩვენი შანსით რომ გავხდეთ ნორმალური, თავისუფალი ქვეყანა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი კოორდინაცია განსხვავებულ ოპოზიციურ პარტიებს შორის, ამიტომ ვიყავით და ვართ „ევროპული საქართველო“ ამ ყველაფრის ინიციატორები.

ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ პირველი ეტაპი კოორდინაციის, მართალია დაგვიანებით, მაგრამ წარმატებით დასრულდა.

მერობის ორი კანდიდატი ხონში – ზურაბ ჯიბუხაია, თერჯოლაში – ზურაბ ბუცხრიკიძე სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან არის შეთანხმებული. ამასთან ერთად ჩვენ, ბუნებრივია, წარვადგენთ კანდიდატებს, იქაც, სადაც შეთანხმების ნაწილი იყო, რომ რამდენიმე კანდიდატი ყოფილიყო, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მერობის კანდიდატთა სია ასე გამოიყურება:

გორი – ეთერ ჯალაღონია, ახალციხე – ზურაბ სადათიერაშვილი, ახალქალაქი – არაენ კარაპეტიანი, მარნეული – ახმედ იმამკულიევი, სამტრედია – ჟუჟუკა ფოფხაძე, კასპი – აკაკი (კახა) გეჯაძე, ამბროლაური – მაია კაციტაძე, თეთრიწყარო – ნინო დავითაშვილი.

წალენჯიხაში, ნინოწმინდაში, ადიგენში კანდიდატების წარდგენა ცალკე გაიმართება.

– მნიშვნელოვანია საზოგადოებამ, მოქალაქეებმა, ჩვენმა მხარდამჭერებმა, ყველამ იცოდნენ, სად დაუჭერს „ევროპული საქართველო“ მხარს საერთო შეთანხმებულ კანდიდატებს, რომელიც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პარტიიდან ან დამოუკიდებელ კანდიდატებად. ამასთან ერთად 300-ზე მეტ მაჟორიტარულ ოლქში წინასწარი შეთანხმება არის ერთიანი კანდიდატების წარდგენაზე.

პირველ ეტაპზე ჩვენ კმაყოფილი ვართ კოორდინაციის ამ შედეგით და მიგვაჩნია, ეს გზავნილი უნდა მივიდეს მოქალაქეებთან, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა სხვადასხვა ოლქებსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა შემადგენლობით შეძლო გონივრული კომპრომისის პოვნა იმაზე, რაზეც ჩვენი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს, დემონსტრირება იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია ივანიშვილის რეჟიმის დამარცხება და ამის შემდეგ კოორდინირებულად, კოალიციურად გადაწყვეტილებების მიღება, – განაცხადა ბოკერიამ.

„ექიმმა თუ აცრაზე უარი გითხრათ, წერილობითი განმარტება მოსთხოვეთ“

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადება

ჯანდაცვის სამინისტრო ვაქცინაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, ფიქსირდება შემთხვევები, როცა ექიმი კონკრეტულ პირს აცრაზე უარს ეუბნება, აღნიშნული უარი კი არ შეესაბამება არსებულ პროტოკოლს. სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ სამინისტროს აცნობონ.

„ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს საყოველთაო ვაქცინაციის პროცესი და ყოველდღიურად მზარდია ვაქცინირებულ პირთა რაოდენობა. ამავე დროს, პერიოდულად ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ვაქცინაზე მისულ პირს ექიმი გარკვეული მიზეზების გამო უარს ეუბნება აცრაზე და ზოგიერთ საეჭვო შემთხვევებში აღნიშნული უარი არ შეესაბამება არსებულ პროტოკოლს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიმართავს მოსახლეობას, ვაქცინაზე უარის შემთხვევაში, მიზეზის დაფიქსირება მოითხოვეთ წერილობითი ფორმით და აღნიშნული დოკუმენტი, თქვენივე ხელმოწერილ განცხადებასთან ერთად. გადმოგზავნეთ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მეილზე.

განცხადების შემოტანა ასევე შეგიძლიათ ადგილზე, სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში. განცხადების დაფიქსირების შემდეგ, რეგულირების საagენტო შეისწავლის, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ექიმის გადაწყვეტილება და იყო თუ არა პაციენტის მდგომარეობა აცრის უკუჩვენება.

შეგახსენებთ, არსებული პანდემიის პირობებიდან და ინფიცირების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, ვაქცინაცია უალტერნატივოა და ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად“ – აღნიშნულია განცხადებაში.

„გადაწყვეტილი იყო ბოკუჩავას კანდიდატურა და მერე უცებ შეიცვალა რაღაც“

რა მოხდა ფოთში

„ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციაში განმარტავენ, რატომ არ დასახელდა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ბოკუჩავა ფოთის მერობის კანდიდატად.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციაში აცხადებენ, საკითხი ჯერ კიდევ განიხილება და კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებენ.

– გადაწყვეტილი იყო ბოკუჩავას კანდიდატურა და მერე უცებ შეიცვალა რაღაც და არ ვიცი, რა შეიცვალა, ჩემთვისაც სიურპრიზი იყო ეს ყველაფერი. ახლა ისეთი პერიოდია, რომ შეიძლება წუთიდან წუთზე რაღაცები შეიცვალოს. ნიკა მელიას მამა თუ დათანხმდებოდა ამაზე, ესეც არ ვიცოდით. ორ საათში მოხდა შეთანხმებაც და ყველაფერი. ამ ეტაპისთვის არავინ არ განიხილება ფოთში. მარტო ფოთი კი არა, სამეგრელოდან მხოლოდ ზუგდიდის ხობის და მარტვილის კანდიდატები დასახელდა. საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილ“ – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ დარეჯან ცხვიტარიამ.

შეგახსენებთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ 15 აგვისტოს დააანონსა, რომ გაერთიანებული ოპოზიციიდან ფოთის მერობის კანდიდატი თინა ბოკუჩავა იქნებოდა.

მარინა კალიურანდი: „საქართველომ უნდა გააუქმოს ბელარუსის უშიშროებასთან დადებული შეთანხმება“

ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტთან ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება გააუქმოს.

მიზეზად ევროპარლამენტარი ასახელებს იმას, რომ ბელარუსიდან განდევნილი პირები, რომლებმაც საქართველოში უსაფრთხო თავშესაფარი იპოვეს, სრულად უნდა იყვნენ დაცულნი.

„მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, გააუქმოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის რეჟიმის სამარცხვინო სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება. ლუკაშენკო 2020 წლის 9 აგვისტოს გაყალბებული არჩევნების შემდეგ ძალაუფლების უზურპატორია. ბელარუსიდან განდევნილი პირები, რომლებმაც საქართველოში უსაფრთხო თავშესაფარი იპოვეს, სრულად უნდა იყვნენ დაცულნი“ – წერს კალიურანდი „ტვიტერზე“.

„ამერიკამ ივანიშვილს შემოუთვალა, ჩამოყალიბდეს, რა უნდა“

მირიან მირიანაშვილი: „დასავლეთში საქართველოს პოლიტიკური პარტიების სპექტაკლებს დიდი ხანია, ღიმილით ხვდებიან“

მარიამ მჭედლიშვილი

2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადების კამპანია დაემთხვა უმძიმეს ეპიდსიტუაციას ქვეყანაში. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.

– ბევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმით, რომ მოახლოებული არჩევნებიც ორპოლუსიანობის პირობებში მიმდინარეობს. ნაციონალური მოძრაობა აქცენტს „ქართული ოცნების“ პრორუსულობაზე აკეთებს და ირწმუნება, რომ ისაა რუსეთისკენ სვლის შემაკავებელი. რას იტყვით?

– საქართველოში პარტიების ფსევდოდასავლურობაზე მისაუბრია. ასევე ცნობილია, რომ პარტიები, რომლებიც ერთმანეთს „ეჩხუბებიან“, ერთ სისტემას წარმოადგენენ. ასე რომ, ეს პარტიები ვერ იქნებიან რუსეთისკენ სვლის შემაჩერებლები. მათ არჩეული აქვთ წინასაარჩევნო სტრატეგია და მოქმედებენ ამის შესაბამისად. ეს განცხადება გაკეთებულია უფრო საქართველოში აშშ-ის ელჩის გასაგონად.

– რისი თქმა უნდათ ნაციონალებს?

– იმის, რომ არჩევნების შემდეგ რაღაც იქნება. საქართველოში ტრადიციად იქცა, რომ მთავარი პროცესები ხშირად იგეგმება არჩევნების შემდეგ. არჩევნები, როგორც წესი, უვერტიურაა, რომელსაც მოჰყვება ხოლმე ვნებათაღელვა. ახლაც აკეთებენ მინიშნებას მოსალოდნელ მღელვარებაზე. აშშ-ის ელჩმა შარშან შემოდგომაზე გამოხატა თავისი პოზიცია პოსტსაარჩევნო პროცესებზე.

– თქვენივე ინფორმაციით, ელჩი რევოლუციას არ მიემხრო.

– დიახ. მას რომ დაეკავებინა სხვა პოზიცია, თუნდაც, ყოფილიყო ნეიტრალური, დღეს გვექნებოდა სხვა რეალობა. ელჩმა ჩაშალა მასობრივი არეულობა 2020 წლის არჩევნების შემდეგ. მან ჩათვალა, რომ ჯობდა ყოფილიყო ეს რეალობა, ვიდრე ამაზე უარესი. პოლიტიკოსები მიანიშნებენ, რომ არჩევნების შემდეგ წელსაც რაღაცას აპირებენ.

– ამჯერად „ქართული ოცნება“ სხვანაირ მდგომარეობაში იმყოფება? პარტიამ დატოვა შარლ მიშელის შეთანხმება და ამ გადაწყვეტილების შემდეგ გამოაცხადა, რომ ქვეყანა უბრუნდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს.

– სინამდვილეში, ეს იყო შეთვლა ივანიშვილისაგან. შეთანხმებაში შესვლა ან დოკუმენტიდან გამოსვლა მისთვის არსებითი არაა. ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელიც კულუარებიდან მართავს პროცესებს, მნიშვნელოვანია საკუთარი პოლიტიკური მომავალი, როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ასეთი გადაწყვეტილებებით სვამს შეკითხვებს და ვაჭრობს საგარეო პარტნიორებთან. ბიძინა ივანიშვილი როცა სიგნალს მისცემს, კობახიძე-მდინარაძეების ტონი ძველ ნიშნულს დაუბრუნდება.

– წინა ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილს ურჩიეთ, გაუწიოს ანგარიში დასავლეთს. მას შემდეგ რა შეიცვალა?

„მალე შეიძლება აღმოვჩნდეთ ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე“

– ჩემთვის ცნობილია, რაც ბიძინა ივანიშვილს შემოუთვალეს. აშშ-ის ადმინისტრაციის მიმდებარე სივრციდან მას გამოუგზავნეს მოუწოდეს, უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია. ეს უნდა მოხდეს რეალობის შესაბამისად. ივანიშვილი ამჟამად ოფიციალური პირი არაა და იგი ოფიციალურ დისკუსიებში მონაწილეობას ვერ იღებს.

– ნაცმოძრაობას დასავლეთი „ოცნების“ ანტიდასავლური კურსის შემაკავებლად არ აღიქვამს?

– რასაკვირველია. სააკაშვილი საქართველოში ამერიკასთან შეუთანხმებლად ვერ ჩამოვა. ასეთი შეთანხმება გამორიცხულია.

– ამასობაში ორპარტიულობა და ორპოლუსიანობა გრძელდება?

– ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება გამორიცხულია. ბიძინა ივანიშვილს მთავარ ოპოზიციად ასეთი ნაციონალური მოძრაობა უნდა. „ოცნება“, ნაცმოძრაობა და მათთან მიბმული წვრილ-წვრილი ორგანიზაციები ერთი(რუსული) სისტემაა. არსებული პოლიტიკური სისტემა ივანიშვილს ემორჩილება. დადგა მისი შეცვლის დრო. რატომღაც ივანიშვილი ამას არ ჩქარობს. არადა, სისტემა გაშიფრული და დრომოჭმულია. ბიძინა ივანიშვილისთვის ის ოპტიმალურია. თუმცა, ალბათ, ისიც გრძნობს მისი ტრანსფორმაციის აუცილებლობას. ტრანსფორმაცია მიმდინარეობს რეგიონში, აზიაში. ხომ ხედავთ, რა ხდება ავღანეთში.

– ზოგი ამტკიცებს, რომ ავღანეთში გამოჩნდა აშშ-ის სისუსტე.

– ეს ტყუილია. ვაშინგტონმა ბალანსის გზა აირჩია. თალიბები პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაკავშირებული არიან პაკისტანთან, საუდის არაბეთთან და ყატართან. ავღანეთი ტრანსფორმაციის კლასიკური მაგალითია. საქართველოში დიდი ხანია მომწიფებულია პოლიტიკური ტრანსფორმაცია.

– გამოითქმის მოსაზრებები იმაზე, რომ ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია შიდა გადატრიალებას და ამბოხს უწყობს სააკაშვილს.

– ეს შეუძლებელია. პიროვნულად და პოლიტიკურად ნიკა მელიას აქვს დადებითი თვისებები, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი მასზე არ დგას. ის სააკაშვილს ვერ დაუპირისპირდება. ახლა ყველას ეშინია ვადამდელი არჩევნების.

– ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც?

– ცხადია. ივანიშვილის დირიჟორობით. ოპოზიციაში ზოგიერთი ამბობს, რომ ემზადება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის და ამ არჩევნებს მოითხოვს. სინამდვილეში, ეს სიტყვები არის თვალთმაქცობა. ვადამდელი არჩევნები, რომელიც უნდა გაიმართოს მომავალი წლის გაზაფხულზე, ამ სისტემის ყველა მონაწილეს აშინებს. მათ აფრთხობთ პოსტკოვიდური ახალი პოლიტიკური რეალობა. ფაქტია, რომ ყველა საგარეო აქტორი საქართველოს პოლიტიკურ სისტემას ერთიანად განიხილავს და მას ეძახის ივანიშვილის სისტემას. ახლანდელი პოლიტიკური სისტემის დირიჟორია ივანიშვილი. აქედან გამომდინარე, ერთი დირიჟორობით მოქმედი პარტიები არ აღიქმებიან ერთმანეთის ოპონენტებად და მტრებად. დასავლეთში საქართველოს პოლიტიკური პარტიების სპექტაკლებს დიდი ხანია, ღიმილით ხვდებიან. მრავალმოქმედებიანი პოლიტიკური სპექტაკლი აღარ სრულდება. ახლა ეს სისტემა გამოწვევის წინაშე დგას. პოლიტიკოსების გზავნილები აშშ-ის ელჩის გასაგონად ფუჭია. კელი დეგნანმა ისინი გამოაგდო.

– გამოაგდო?

– გამოგდებაში წიხლის ამორტყმას კი არა, მათთვის კარის გამოხურვას ვგულისხმობ. დასავლელი პარტნიორები ჩართული იყვნენ პარტიებს შორის დიალოგში, მათ შერიგებაში. რეალურად, ეს პარტიები ერთმანეთის არც მტრები არიან, არც –კონკურენტები. ისინი ასახიერებენ როლებს. არსებული სისტემა დრომოჭმულია და საჭიროებს მოდელის შეცვლას, სისხლის გადასხმას.

– ხომ შემოგვთავაზეს სიახლე გახარიას სახით?

– გახარიას სუბიექტის სახით, ივანიშვილს, ალბათ, უნდოდა შემოეთავაზებინა სისხლის გადასხმა. ეს აშკარად არ გამოუვიდა. გახარიათი რენოვაცია დასავლეთმა არ მიიღო. პოლიტიკურ სისტემაში თავის მიერ კონტროლირებად პარტიებს ივანიშვილი განაგებს.

– ბოლო დროს საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა მიმართვა გაუგზავნა პუტინს. ეს პარტია აცხადებს, რომ კრემლიდან პასუხი მიიღო.

– მე პესკოვის კომენტარი მოვისმინე და ახალი ვერაფერი აღმოვაჩინე. პატრიოტთა ალიანსიც ივანიშვილს ემორჩილება. ივანიშვილს მოუნდა „ალიანსის“ ისევ გაქაჩვა და გააქტიურება მას შემდეგ, რაც პოლიტიკიდან ჩაიხსნა ლევან ვასაძე (რომლის გამოყენებითაც რუსები ჩემი პარტიის სახელის დუბლირებას ახდენდნენ). იმისათვის, რომ „ალიანსი“ წინ წამოსწიონ, არჩევნებზე რაღაც პროცენტები დაუწერონ, მას აპიარებენ. ამას ემსახურებოდა წერილი კრემლში. მაქვს ინფორმაცია, რომ შარშან პატრიოტთა ალიანსის უკან გადაწევა სურკოვის დავალებით მოხდა. სურკოვმა ჩათვალა, რომ ეს პარტია ვერ პასუხობს ახალ მოთხოვნებს. ივანიშვილი სურკოვის გარეშე ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ახლა, როცა ვასაძე გამოთიშეს, ისევ საჭირო გახდა ინაშვილის დაბრუნება. ეს პოლიტიკური საკითხები და არჩევნები არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჯანდაცვის სისტემაში ხდება.

– უმძიმესი ეპიდვითარებაა.

– პირველ ადგილზე ვართ ინფიცირებულთა და კოვიდგარდაცვლილთა რაოდენობით მსოფლიოში. ტრაგედია მარტო ამაში არ მდგომარეობს.

– რას გულისხმობთ?

– ჯანდაცვის სხვა სერვისები შეჩერებულია. ყველა ადგილი დაუთმეს კოვიდინფიცირებულებს. ჩემს ახლობელს შეემთხვა ის, რაზეც ახლა გეტყვით. ეს ერთეული ფაქტი არაა. ბრმა ნაწლავის ოპერაცია ჰქონდა სასწრაფოდ გასაკეთებელი და ადგილი ვერ გამონახეს. ეს ოჯახი გავლენიანია და სამედიცინო სფეროშიც ნაცნობობა ჰყავს. რის ვაი-ვაგლახით გამოუძებნეს ადგილი საოპერაციოდ. ეს ადამიანი თავისი გავლენებით გადარჩა, მაგრამ რა ეშველებათ ჩვეულებრივ მოქალაქეებს?! ბევრი მათგანი სამედიცინო სერვისების გაჩერების გამო კვდება. გამოდის, რომ ჩვენ დღე-ღამეში 50 გარდაცვლილი გვყავს კოვიდით, დაახლოებით ამდენი და მეტი კი – სხვა დაავადებებით და პაციენტების მიგდებით. ასე თუ გაგრძელდა, მივიღებთ ჰუმანიტარულ კატასტროფას.

„80 ობიექტი დაიხურა და 2 500 ადამიანი დარჩა უმუშევრად“

ბავშვთა გასართობი ცენტრების ასოციაცია ჩივის



– რატომ დაიხურა ამ ახალი შეზღუდვების დროს მხოლოდ ჩვენი სექტორი, ამაზე პასუხი არავისგან არ გვაქვს.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ბავშვთა გასართობი ცენტრების ასოციაციის ხელმძღვანელმა განაცხადა.

გიორგი მთიულიშვილის თქმით, ის, რომ ბავშვთა გასართობი ცენტრები დაიხურა, არასამართლიანია, რადგან შრომის ინსპექციის მხრიდან, მათ მიერ წესების დაცვა უმაღლესი ქულით ფასდებოდა.

– ჩვენი სექტორი ამ შეზღუდვების შედეგად სრულად ჩაიკეტა. ტრანსპორტის გარდა, ჩვენ ვართ ერთადერთი, ვისაც ფუნქციონირების უფლება აღარ აქვს. ასე იყო სულ ამ ორი წლის განმავლობაში – პირველს გვკეტავდნენ და ბოლოს გვხსნიდნენ.

ჩვენ დაგვბრალდა კოვიდის გავრცელება მთელს ქვეყანაში, არადა ჩვენ მუდმივად გვამოწმებდა შრომის ინსპექცია და წესების დაცვას აფასებდა უმაღლესი ქულით. არ გვქონია არც ერთი დაჯარიმება და გაფრთხილება. თავად, შრომის ინსპექციასთან გვქონდა ყოველდღიური კომუნიკაცია და მათაც არ იცოდნენ, რომ ჩვენ ჩაგვკეტავდნენ. პასუხი ამაზე არ გვაქვს არავის მხრიდან, რატომ დაიხურა მხოლოდ ჩვენი სექტორი. ის რომ, სახელმწიფომ ვერ მართა პანდემია, ჩვენ დაგვბრალდა.

შედეგად, 80 ობიექტი დაიხურა და 2 500 ადამიანი დარჩა უმუშევრად. ამ ეტაპზე გვეუბნებიან, რომ ეს გაგრძელდება 4 სექტემბრამდე, თუმცა რამდენად რეალურია ეს ვადები და გვაქვს თუ არა ამის გარანტია, პასუხი არც ამაზე არსებობს, – ამბობს მთიულიშვილი.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბავშვთა გასართობმა ცენტრებმა ფუნქციონირება ერთწლიანი დახურვის შემდეგ, მხოლოდ 1 აპრილიდან განაახლეს. ამჯერად კი მათ მუშაობის უფლება 14 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე შეეზღუდათ.

რა თანხას იხდის სათამაშო ბიზნესი საქართველოს ბიუჯეტში

2021 წლის იანვარ-ივნისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზარტული თამაშებიდან ბიუჯეტში შესული თანხა გაიზარდა.

კერძოდ, როგორც საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში 31 064 348 ლარს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი – 11 269 505 ლარს შეადგენდა.

ამასთან, 2021 წლის 1-ელ ნახევარში ბიუჯეტში სათამაშო აპარატებიდან – 16 581 219 ლარი შევიდა, წამახალისებელი გათამაშებიდან – 2 900 539 ლარი; სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 6 040000 ლარი, სამორინეს მაგიდიდან – 5 453 135 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი კი – 5 542 589 ლარი იყო.

რაც შეეხება პანდემიურ 2019 წელს, იანვარ-ივნისში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში 62 908 925 ლარი შევიდა.

წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აცრა 4 ქალაქშია შესაძლებელი

ვაქცინაციის პუნქტები თბილისში, ბათუმში, მცხეთასა და ზუგდიდშია გახსნილი

ექიმები მოსახლეობას ვაქცინაციისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებენ. თბილისი, ბათუმი, მცხეთა და დღეიდან უკვე ზუგდიდი – ოთხ დიდ ქალაქში გახსნილია იმუნიზაციის პუნქტები, სადაც სასურველი აცრის გაკეთება მოქალაქეებს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ. ქვეყნის მასშტაბით გახსნილ შვიდ ცენტრში მიმართვიანობა მზარდია.

უკვე მეოთხე დღეა, ვაქცინაციის მსურველთა ნაკადი ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში არ წყდება. მოქალაქეებს სასურველი ვაქცინით აცრა წინასწარი ონლაინრეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ. „კურიერის“ რესპონდენტები ასახელებენ არაერთ მიზეზს, რის გამოც, ახალი სისტემის მიხედვით, ვაქცინაცია მათთვის მისაღებია.

გამარტივებული რეგისტრაციის მქონე კიდევ ერთი სივრცე გაიხსნა გუშინ, 16 აგვისტოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოქალაქეებს წინასწარ ჯავშნის გარეშე ფაიზერით, სინოვაკით და სინოფარმით შეუძლიათ აიცრან.

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრების ახალი სივრცე ამოქმედდა ზუგდიდშიც. მოქალაქეებს, რომლებსაც ვაქცინის გაკეთება სურთ, ადგილზე რეგისტრაციის საფუძველზე, მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ მისვლა.

უკვე მეოთხე დღეა აქტიურად ფუნქციონირებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ სპორტულ კომპლექსში მოწყობილი ვაქცინაციის სივრცეც, სადაც მოქალაქეებს იმუნიზაცია მხოლოდ ფაიზერის ვაქცინით შეუძლიათ.

15 სექტემბერს ელენე ხოშტარიას სასამართლო პროცესის ჩანიშვნა საარჩევნო პროცესში ხელის შეშლაა

– ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების დღეს, 11 ივლისს, ელენე ხოშტარიამ გამოთქვა პროტესტი, ამ პროტესტის გამო მისი სასამართლო პროცესი 15 სექტემბერსაა ჩანიშნული.

ამის შესახებ პარტია „დროას“ წევრმა ნინო გოგუაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ელენე ხოშტარიას სასამართლო პროცესზე დაბარებით „ქართული ოცნება“ სასამართლო სისტემის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასა და ოპოზიციისთვის არჩევნებში ხელის შეშლას განაგრძობს.

– მაშინ, როდესაც 5 ივლისის მთავარი ორგანიზატორი და წამქეზებელი ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრია. მაშინ, როდესაც 5 ივლისის დარბევის უშუალო მონაწილეების უმრავლესობა დაუსჯელია და ამ დარბევას შეეწირა ლექსო ლაშქარავა სიცოცხლე, ელენე ხოშტარიამ სასამართლოდან მიიღო შეტყობინება, რომ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების დღეს, 11 ივლისს, მან გამოთქვა პროტესტი, ამ პროტესტის გამო მისი სასამართლო 15 სექტემბერსაა ჩანიშნული. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ელენე ხოშტარია არის ოპოზიციის მთავარი კანდიდატი საკრებულოს არჩევნებში. ეს არის პირდაპირი ხელის შეშლა საარჩევნო პროცესში და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის გაგრძელება, როდესაც იგი სასამართლოს იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, – განაცხადა ნინო გოგუაძემ.

„ჩემს შვილს მისმა ქმარმა ლარნაკი თავში ჩაარტყა“

ოჯახური ძალადობა შიდა ქართლში

ოჯახური ძალადობის მძიმე ისტორია შიდა ქართლში – ახალგაზრდა ქალი აცხადებს, რომ წლებია, მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.

ახალგაზრდა ქალის დედა ტვ პირველთან ყვება, რომ მისი შვილის ქმარი დასჯისთვის ძალადობის სხვადასხვა ფორმას იყენებს, სცემს, თუმცა, როგორც სავარაუდო მსხვერპლი ამბობს, პოლიცია არ რეაგირებს. სავარაუდო მსხვერპლის ოჯახის მტკიცებით, ახალგაზრდა ქალზე დედამთილიც ძალადობდა. არაერთი მიმართვის მიუხედავად, ცემაში დადანაშაულებული ამ დრომდე თავისუფალია და სავარაუდო დანაშაულის განმეორების საფრთხეც დიდია. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ეჭვობს, რომ მოძალადემ პოლიციას ფული გადაუხადა.

– ჩემს შვილს ლარნაკი ფეხზე ჩაარტყა – თითი აქვს მოტეხილი. ტანსაცმლის საკიდით სცემა. ჩემს შვილს ქმართან ერთად ფიზიკურად დედამთილიც უსწორდებოდა. ეს რომ გავიგე, სიძეს და ჩემი შვილის მამამთილს ვუთხარი, გიჩივლებ-თქო. ვერაფერს გვიზამ, ჩვენ ბევრი ფული გვაქვსო. მამამთილმა სახლში მომიგდო ჩემი გოგო. ექსპერტიზაც ჩავატარე, პოლიციამ დაიჭირა მისი შვილი, თუმცა სამ დღეში გამოუშვეს, – აცხადებს სავარაუდო მსხვერპლის დედა.

ზესტაფონში ბებიაზე ძალადობისთვის ზვიად ცერცვაძე დააკავეს

ზესტაფონში მოხუც 82 წლის ბებიაზე ძალადობაში ბრალდებული შვილიშვილი დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას „ტელეკომპანია“ ფორმულა ავრცელებს.

ხანდაზმულის თქმით, 30 წლის ზვიად ცერცვაძე სრულიად უმიზეზოდ სცემს და უყვირის, სარგებლობს მისი საპენსიო ბარათითაც, აღებულ თანხას კი ფლანგავს.

ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ იცოდა სოფლის გამგებელმაც. მისი თქმით, პოლიციას ერთხელ უკვე შეატყობინა და ზვიად ცერცვაძე გააფრთხილეს. გამგებელმა ისიც იცოდა, რომ შვილიშვილი ბებიის პენსიის ბარათით სარგებლობდა. აკაკი მახათაძის თქმით, ციალა ქათამაძეს თავშესაფარში გადასვლა შესთავაზა, მაგრამ მოხუცმა უარი განაცხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ შეტყობინების მიღებისთანავე რეაგირება მოხდა და კაცი დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

წინანდლის ტყეში ზურაბ ზვიადაურის ძმა და კიდევ 2 პირი მოკლეს

სისხლიანი გარჩევა კახეთში – გუშინ, 16 აგვისტოს, წინანდლის ტყეში სამი ადამიანი ჩაცხრილეს.

ერთ-ერთი მოკლული ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის, ძმაა.

სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს ზვიადაურის ახლო მეგობრებს, რომლებიც მასთან ერთად ტყეში იმყოფებოდნენ.

სამივე მათგანს აღენიშნებოდა როგორც ცეცხლსასროლი იარაღით, ასევე ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები.

შემთხვევის ადგილზე სავარაუდოდ იმყოფებოდა მეოთხე ადამიანი, რომელმაც დაჭრილები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში საკუთარი ავტომობილით გადაიყვანა, თუმცა კლინიკაში შეყვანისას სამივე მათგანი უკვე გარდაცვლილი იყო.

„კურიერის“ ინფორმაციით, წინანდალში მოკლული არიან ზვიად ზვიადაური, ალიკა ცოცხალაშვილი და ნიკა კენჭოშვილი.

გარდაცვლილებს შორის არის პირი, რომელიც ზვიადაურისა და მისი მეგობრის მისამართით ისროდა. კონფლიქტი კი ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე დაიწყო, სადაც ზვიადაური და მისი

მეგობრები მათი მეგობრის დასახმარებლად მივიდნენ.

თელავის რეფერალურ საავადმყოფოში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, რადგან მანქანა, სადაც სამი პირი ჩაცხრილეს, საავადმყოფოს ეზოში იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დეტალებზე არ საუბრობენ. უწყებაში „პირველებს“ უთხრეს, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

რისთვის გაიცა 585 მილიონის სახელმწიფო გრანტი?

ორგანიზაციები საგრანტო თანხებს ან არამიზნობრივად ხარჯავდნენ, ან სათანადოდ არ აკონტროლებდნენ ბენეფიციარი კომპანიების ხარჯებს.

ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კვლევაშია საუბარი, რომელმაც 2017-2019 წლებში გაცემული სახელმწიფო გრანტების მიზნობრიობა შეისწავლა.

მაკონტროლებელმა ორგანომ სახელმწიფო გრანტის მიმღები რვა ორგანიზაცია შეამოწმა და დაადგინა, რომ გრანტები საბაზრო ფასებისა და საჭიროებების შეუფასებლად დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტებმა მიიღეს. აუდიტის დასკვნის მიხედვით, არ არის დასაბუთებული, როგორ შეუწყო ხელი ორ წელიწადში გაცემულმა გრანტებმა ქვეყნის განვითარებას და იმ მიზნების მიღწევას, რაც მთავრობამ 2019-20 წლებში დაამტკიცა.

აუდიტის ინფორმაციით, გრანტი მიიღო სოფლის განვითარების სააგენტომ, რომელმაც ჩაის წარმოების და გადამუშავების პროექტი ისე დაიწყო, რომ დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. საბოლოოდ, პროექტის 35 ბენეფიციარიდან 19-მა ვალდებულებები ვერ შეასრულა, 2020 წლიდან კი სააგენტომ საერთოდ მოუხსნა ბენეფიციარებს ვალდებულებები, თუმცა აუდიტმა ამის მტკიცებულება ვერ მოძებნა.

ინოვაციების სააგენტომ, რომელმაც 2017-2019 წლებში გრანტების სახით 6.552.000 ლარი მიიღო, 335.040 ლარით მეტი დახარჯა ხელფასებში. ინოვაციების სააგენტომ ცალკეულ შემთხვევებში შესყიდვა გაუფორმა კომპანიებს, რომლებიც საკონკურსო ვაჭრობაში არ მონაწილეობდნენ.

აუდიტის ინფორმაციით, გრანტები სამინისტროებზე ასე გადანაწილდა:

სოფლის მეურნეობა - 366.345.000 ლარი; განათლება - 122.378.000 ლარი; „აწარმოე საქართველოში“ – 90.352.000 ლარი; ინოვაციები და სტარტაპები - 6.552.000 ლარი.

ხელვაჩაურში მდებარე რესტორანი დაილუქა

პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი დალუქა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი „ჩვენებური“ დალუქეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტი იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დაჯარიმდა. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, რესტორნის ადმინისტრაციამ კვლავ განაგრძო საქართველოს მთავრობის დადგენილებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა, რის გამოც გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით.

აღნიშნული რესტორანი პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო დალუქა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, იურიდიული პირის შემთხვევაში დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ასევე, მის მიმართ ლიკვიდაციისა და დაჯარიმების ღონისძიების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ვადით“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტებზე 2 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით მარკირებას

დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის და გადაზიდვის ფაქტებზე ორი პირი დააკავეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაშია ნათქვამი, გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი დაკავებული საცხოვრებელ სახლში შემდგომი გასაღების მიზნით ინახავდა დიდი ოდენობით – 2.160 კოლოფ უაქციზო სიგარეტს, საიდანაც 490 კოლოფის გასაღება მოახდინა მეორე დაკავებულზე.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 9.504 ლარის ღირებულების 2.160 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და უაქციზო საქონლის ვაჭრობით მიღებული თანხა – 2.460 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

101 წლის, ერთ დღეს დაბადებული ცოლ-ქმარი ხანძარს ემსხვერპლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთში ხანძარს ორი ადამიანი ემსხვერპლა.

ნოე მუმლაძე და მარიამ ციცვიძე 101 წლის წინ ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე დღეს დაიბადნენ და გუშინ, 16 აგვისტოს, ერთად დაიღუპნენ.

ცეცხლი მათ საცხოვრებელ სახლში გაჩნდა. ცეცხლის გამომწვევი მიზეზი უცნობია. ცოლ-ქმარი სახლში მარტო იმყოფებოდა.

– ჩემი ოცნებაა, იმიერში ჩემს მეუღლესთან ერთად წავიდე. სიკვდილიც ერთად გვინდა, უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ. მერე იმქვეყნადაც ერთად ვიქნებით, – უთხრა „სარკეს“ გასულ წელს ნოე მუმლაძემ. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ქუთაისში კლინიკის მე-4 სართულიდან კოვიდინფიცირებული მამაკაცი გადახტა

ქუთაისში, ჩხობაძის სახელობის კლინიკის მეოთხე სართულიდან, პაციენტი გადახტა. 70 წლის კაცი კორონავირუსით იყო ინფიცირებული.

ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა სტაბილური იყო, თუმცა 15 აგვისტოს გვიან ღამით, ის მეოთხე სართულიდან გადმოხტა.

მამაკაცი რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

– ორი დღის შემოსული იყო პაციენტი, მიზეზი უცნობია, რატომ გადახტა, – ამბობს კლინიკის ხელმძღვანელი გოგიტა ბაბუნაშვილი.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ 70 წლის მამაკაცს ცოტა ხნის წინ შვილი დაეღუპა.

ნინოწმინდაში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ნინოწმინდაში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ნინოწმინდა“, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის ა.ა-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 32.632.54 ლარის ღირებულების, 381 გრამი, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გადაეცა.

ეკა მიშველაძე: „კიდევ უფრო მიმძაფრდება ეჭვი, რომ ეს არ იყო ძარცვა“

– კიდევ უფრო მიმძაფრდება ეჭვი, რომ ეს არ იყო ძარცვა, – ამბობს ტელეწამყვანი ეკა მიშველაძე მისი ბინის გაქურდვასთან დაკავშირებით.

ეკა მიშველაძე პოლიციამ გუშინ, 16 აგვისტოს, გამოკითხა. როგორც ტელეწამყვანი ამბობს, წაღებულია მხოლოდ 2 ლეპტოპი მაშინ, როდესაც ბინაში სხვა, ბევრად ღირებული ნივთები იყო.

მიშველაძეს ბინა თბილისში, დოლიძის ქუჩაზე გაქურდული 15 აგვისტოს დახვდა და მაშინვე არ გამორიცხა, რომ ეს ყველაფერი დაშინების მცდელობა ყოფილიყო.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

შრომის ინსპექციამ 15-მდე ობიექტი დალუქა, 30 ფიზიკური და იურიდიული პირი კი დააჯარიმა

10 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით, შრომის ინსპექციამ სხვა ზედამხედველ უწყებებთან ერთად 15-მდე ობიექტი დალუქა, 30 ფიზიკური და იურიდიული პირი კი დააჯარიმა. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისა და რეკომენდაციების დარღვევის საფუძვლით, უშუალოდ შრომის ინსპექციის სამსახურმა 30 ეკონომიკური ობიექტი დააჯარიმა. 18 იურიდიულ პირს 10.000, ხოლო 12 ფიზიკურ პირს – 2.000 ლარის ოდენობის სანქცია დაეკისრა. დაილუქა 13 ობიექტი.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული, გრძელდება აქტივობები ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ქვეყნის მასშტაბით სულ 2.391 სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირება განხორციელდა. გაიცა 2.142 წერილობითი და 249 ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება.

ქვეყნის მასშტაბით კოვიდრეგულაციების დაცვაზე მონიტორინგში შრომის ინსპექციასთან ერთად, ჩართული არიან მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურები, სურსათის ეროვნული სააგენტო, საპატრულო და კრიმინალური პოლიცია.

„ომი დამთავრდა, ჩვენ გავიმარჯვეთ“

თალიბანმა ქაბულში პრეზიდენტის სასახლე დაიკავა, მოსახლეობის ნაწილი დედაქალაქიდან გარბის

15 აგვისტოს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში თალიბებმა პრეზიდენტის სასახლე დაიკავეს.

თალიბებსა და ავღანეთის მთავრობას შორის შეთანხმების ნაწილი იყო ის, რომ ავღანეთის პრეზიდენტი შეუერთდებოდა სასახლეში ძალაუფლების გადაცემის ცერემონიალს, მაგრამ პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ და მისმა თანაშემწეებმა ქვეყანა დატოვეს.

თალიბანის პრესსპიკერმა მუჰამედ ნაიმმა განაცხადა, რომ ავღანეთში ომი დასრულდა.

– დღეს დიდი დღეა ავღანელი ხალხისა და მოჯაჰედებისთვის. მათ დაინახეს იმის ნაყოფი, რასაც 20 წლის განმავლობაში ეწირებოდნენ. ღვთის წყალობით, ჩვენს ქვეყანაში ომი დასრულდა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რაც გვსურდა – ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. არავის მივცემთ უფლებას, გამოიყენოს ჩვენი ტერიტორია ვინმეზე თავდასხმის მიზნით და არ გვსურს, ზიანი მივაყენოთ სხვას, – განაცხადა მუჰამედ ნაიმმა ტელეკომპანია „ალ-ჯაზირასთან“ ინტერვიუში.

მისივე თქმით, თალიბანს იზოლაციაში ცხოვრება არ სურს და მმართველობის ტიპისა და რეჟიმის ფორმის შესახებ მალე გახდება ცნობილი.

– ჩვენ ვთხოვთ ყველა ქვეყანას, დასხდნენ ჩვენთან ნებისმიერი საკითხის მოსაგვარებლად, – აღნიშნა ნაიმმა.

მისივე თქმით, თალიბანი მოქალაქეებისა და დიპლომატების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

გუშინ, 16 აგვისტოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ აშშ-ის საელჩოს თითქმის ყველა თანამშრომელი, მათ შორის ელჩი როს უილსონი, ქაბულის აეროპორტშია გადაყვანილი და საელჩოს შენობიდან ამერიკის დროშა ჩამოხსნილია. ამასთან, აეროპორტში ასობით ავღანელი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ელოდება თვითმფრინავის რეისს ქვეყნის დასატოვებლად.

აეროპორტში მყოფ ადამიანებს შორის რამდენჯერმე შეხლა-შემოხლაც მოხდა ადგილების სიმცირის გამო.

ავღანეთის სამოქალაქო ავიაციის სამსახურმა განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაციის გამო ქაბულის საჰაერო სივრცეში სატრანზიტო რეისების გაკონტროლება ვერ მოხერხდება და ტრანზიტით მოძრავ თვითმფრინავებს ურჩია, სხვა მარშრუტით ისარგებლონ.

გაერთიანებულმა ავიახაზებმა, ბრიტანულმა ავიახაზებმა და ვირჯინ ატლანტიკმა უკვე შეწყვიტეს ავღანეთის საჰაერო სივრცის გამოყენება მას შემდეგ, რაც თალიბებმა ქაბულში პრეზიდენტის სასახლე აიღეს.

გუშინვე აშშ-ის სამხედრო ძალებმა ქაბულის აეროპორტში ორი შეიარაღებული მამაკაცი მოკლეს, მას შემდეგ, რაც მათ ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნეს.

მამაკაცები შეიარაღებულნი იყვნენ, თუმცა აშშ ვერ ადასტურებს, იყვნენ თუ არა ისინი თალიბანის წარმომადგენლები. ამჟამად მომხდარს ამერიკული მხარე ცალკეულ ინციდენტად განიხილავს. სროლისას კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაშავდა აეროპორტში სხვა ინციდენტის დროს, თუმცა გარემოებები უცნობია.

ჰაიტიზე მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 1.297-მდე გაიზარდა

ჰაიტიზე დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 1.297-მდე გაიზარდა. 5.700-მდე დაშავებული საავადმყოფოებში მკურნალობს. ჰაიტიზე 7.2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრამ დაანგრია ან მნიშვნელოვნად დააზიანა ასობით სახლი, ასევე სასტუმროები, საავადმყოფოები და სკოლები. ათასობით ადამიანი ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს.

მაშველები ნანგრევებში მოყოლილების ძებნას განაგრძობენ. ქარიშხლების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ჰაიტიზე ტროპიკული შტორმი „გრეისი“ და მისგან გამოწვეული ძლიერი წვიმა და წყალდიდობაა მოსალოდნელი, რაც სამაშველო სამუშაოებს გაართულებს. პრემიერ-მინისტრმა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

კუნძულ ჰაიტიზე საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა ბოლოს 2010 წელს მოხდა, როდესაც 200.000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ქვეყანაში შენობების უმეტესობა განადგურდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ჰაიტელ ხალხს დაეხმარება. ამ დახმარების კურირება დაევალება აშშ-ის უცხო ქვეყნების სააგენტოს ხელმძღვანელს სამანტა პაუერს.

კრივოი როგის მერი მოკლული იპოვეს

კრივოი როგის მერი კონსტანტინე პავლოვი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ის საკუთარ სახლში ტყვიით განგმირული იპოვეს. ჯერჯერობით უცნობია, მკვლელობაა ეს თუ თვითმკვლელობა. კრივოი როგი ზელენსკის მშობლიური ქალაქია. უკრაინის პრეზიდენტმა ძალოვნებს დაავალა, რომ პავლოვის საქმე, რაც შეიძლება სწრაფად გახსნან.

– არ უნდა დარჩეს არც ერთი თეთრი ლაქა, – თქვა ზელენსკიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამამ შვილს ფული მოჰპარა და სასმელსა და გართობაში გაფლანგა

სამხრეთ უელსის ქალაქ ტენბის მკვიდრმა 38 წლის დენიელ კოლფილდმა ბებიის მიერ მისი შვილისთვის დატოვებული 38 ათასი ფუნტი სტერლინგი მიითვისა და გართობაში, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებში გაფლანგა.

კოლფილდის დედამ ბანკში ანგარიში გაუხსნა შვილიშვილს და მასზე ფული შეინახა იმისთვის, რომ მას შემდეგ ან უნივერსიტეტში სწავლის გადაეხადა, ან სახლი ეყიდა, როცა 18 წლის გახდებოდა. 2015 წელს ქალი გარდაიცვალა, ხოლო კოლფილდმა და მისმა დამ ბავშვზე მეურვეობის უფლება და, შესაბამისად, ანგარიშზე წვდომა მიიღეს.

მას შემდეგ, რაც ბიჭი სრულწლოვანი გახდა, მან მამასა და მამიდას წერილი მისწერა, რომელშიც მისთვის ფულის გადაცემას ითხოვდა, კოლფილდმა კი ამაზე უპასუხა, რომ ფული სრულად დახარჯა და დაბრუნებას ვერ შეძლებდა.

ამის შემდეგ ბიჭმა განცხადებით პოლიციას მიმართა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების თქმით, კოლფილდმა შეწყალება ითხოვა შვილის კუთვნილი ფულის მოპარვისა და გაფლანგვის გამო. სასამართლომ მამაკაცს ორი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა, ასევე რეაბილიტაციის კურსის სავალდებულო გავლა და 240 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება დააკისრა.

უიღბლო მძარცველი ბანკიდან ხელცარიელი ცუდი ხელწერის გამო წავიდა

ინგლისის სასექსის საგრაფოს ქალაქ ისტბორნში პენსიონერმა ბანკის გაძარცვა სცადა, მაგრამ ცუდი ხელწერის გამო ხელცარიელი დარჩა.

ორი კვირის განმავლობაში 67 წლის აიენ სლეტერი ქალაქების ისტბორნის და გასტინგსის სამ ბანკში შევიდა და მათ თანამშრომლებს გადასცა ხელით დაწერილი ბარათები, რომლებშიც ის მისთვის ფულის მიცემას მოითხოვდა.

ძარცვის პირველი მცდელობა პენსიონერს ისტბორნის ბრიტანეთის სამშენებლო საზოგადოებაში ჰქონდა, მაგრამ გაურკვეველი ხელწერის გამო, ბანკის თანამშრომელი ვერ მიხვდა თუ რა სურდა მამაკაცს და ის იძულებული გახდა, ხელცარიელი გაბრუნებულიყო.

მოგვიანებით ბანკის თანამშრომლებმა მაინც მოახერხეს ბარათის წაკითხვა. მასში ეწერა: „მე თან მაქვს რაღაც, რისგანაც ვერ დაგიცავთ თქვენი დამცავი ეკრანი. უბრალოდ გადმომეცით 10 და 20-ფუნტიანი კუპიურები. იფიქრეთ სხვა კლიენტებზეც“. მათ ამის შემდეგ სამართალდამცავებს მიმართეს და პოლიციამ ბარათი და ბანკის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღო.

რვა დღის შემდეგ პენსიონერი გასტინგსში მდებარე იმავე ბანკის სხვა განყოფილებაში შევიდა. მან მოლარეს ბარათი მუქარით მიაწოდა და საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების გამო ქალმა მძარცველს 2,4 ათასი ფუნტ სტერლინგი გადასცა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციამ ზარი მიიღო გასტინგის კომერციული ბანკის განყოფილებიდან. ბანკის თანამშრომლებმა შეატყობინეს, რომ მათთან მამაკაცი შევიდა და გადასცა ბარათი, რომელშიც ის მისთვის ფულის გადაცემას ითხოვდა. ამაზე მამაკაცმა მოლარისგან უარი მიიღო და ის იძულებული გახდა, ბანკი ხელცარიელს დაეტოვებინა.

ამ შეტყობინების შემდეგ პოლიციელები მივიდნენ იმ მისამართზე, რომელიც რეგისტრაციის მიხედვით სლეტერის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა და მამაკაცი იქვე, შორიახლოს შენიშნეს. ინგლისელი ძარცვის და ორჯერ ძარცვის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრეს.

პენსიონერმა დანაშაული აღიარა. სასამართლომ მას ოთხი წლით პატიმრობა და ორი წლით გამოსაცდელი ვადა მიუსაჯა.

ქალი ძმის მკვლელობისთვის გასამართლებულს ცოლად გაჰყვა

ამერიკის ოჰაიოს შტატის მცხოვრები ქალი ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელიც 1980-იან წლებში მისი ნახევარძმის მკვლელობისთვის გასამართლეს.

ჯონ ტიჯენი, რომელიც ამჟამად 57 წლისაა, 1980-იან წლებში ბრაიან მაკგრის მეზობლად ცხოვრობდა. 1987 წელს მაკგრი ბინაში მოკლული იპოვეს, მას სხეულზე დანით ჰქონდა მიყენებული ჭრილობები, ხოლო თავში ცეცხლსასროლი იარაღით.

დაკითხვის შემდეგ ტიჯენმა ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თავისი მეზობელი თავდაცვის მიზნით მოკლა. მამაკაცი ციხეში აღმოჩნდა.

მოგვიანებით მოკლულის დამ კრისტალ სტროსმა გასამართლებულს წერილი მისწერა, რომელშიც ეწერა, რომ ის მას ძმის მკვლელობას პატიობდა. საპასუხო წერილში ტიჯენმა განაცხადა, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია. „მეც მწამს ღმერთი და ეს მე არ ჩამიდენია“ – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა. მას შემდეგ მათი მიმოწერა გაგრძელდა.

2020 წელს ტიჯენმა სატელეფონო საუბრის დროს სტროსს ხელი სთხოვა. მაშინ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, გამოუშვებდნენ თუ არა ოდესმე ციხიდან მამაკაცს.

ტიჯენი ივლისში განთავისუფლდა პატიმრობიდან, ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც მისი საქმის გადახედვა გადაწყდა უამრავ ფოტოსურათსა და პოლიციის მოხსენებების გაუთვალისწინებლობაზე დაყრდნობით. ჯერჯერობით უცნობია, მოუხსნიან თუ არა მამაკაცს ბრალდებას.

ქორწილი იმ დროს შედგა, როდესაც ტიჯენი საქმის გადახედვის მოლოდინში ჯერ ისევ შინაპატიმრობაში იმყოფებოდა.

ამერიკელმა ორ კვირაში ორჯერ მოიგო ლატარიაში

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა ორ კვირაში თერთმეტი დღის ინტერვალით, ორჯერ გაიმარჯვა ლატარიის გათამაშებაში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველი მოგება ამერიკელმა 40 ათასი დოლარის ოდენობით 16 ივლისს მიიღო, ხოლო 27 ივლისს მისმა მოგებამ უკვე სამი მილიონი დოლარი შეადგინა.

– მეგა მილიონის გათამაშებაში 40 ათასი დოლარის მოგების შანსი 1 931.001-თანაა, ხოლო სამი მილიონის მოგების შანსი დაახლოვებით 1 13 მილიონთან შეადგენს, – განაცხადეს ლატარიის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტში.

ორივე შემთხვევაში მამაკაცს ერთი რიცხვი დააკლდა იმისთვის, რომ ჯეკპოტი მოეხსნა. თუმცა ამერიკელი აცხადებს, რომ დღემდე ვერ დაუჯერებია, რომ ორ კვირაში ორჯერ მოიგო სოლიდური თანხა ლატარიის გათამაშებაში.

ქალმა ხმაურიან დამსვენებლებზე შურისძიების ორიგინალურ ხერხს მიაგნო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ტიკტოკში ისაუბრა იმაზე, თუ როგორ იძია შური იმ დამსვენებლებზე, რომლებიც მას და მისი ოჯახის წევრებს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 37 წლის ჰიზერ მინშალი, მისი ქმარი და ორი ბავშვი უელსში ისვენებდნენ. ბოლო ღამეს მათი მანქანის გვერდით ახალი მეზობლები გამოჩნდნენ.

მიუხედავად შუაღამისა, მათ მუსიკა ბოლო ხმაზე ჩართეს, ხმაურობდნენ და ყოველგვარ მოწოდებას სიმშვიდისკენ ყურადღებას არ აქცევდნენ.

მეორე დილით ქალმა გადაწყვიტა მათზე შური ეძია.

– როდესაც დავრწმუნდი, რომ ირგვლივ სხვა არავინ იყო, მათი მანქანის სახურავზე პურის ნაჭრები დავყარე, – ყვება ქალი.

პურის ნაჭრებს წამსვე ათეულობით თოლია დაესია, ისინი გამყინავი ხმით გაჰკიოდნენ და სახურავიდან პურის ნამცეცებს კენკავდნენ. მათმა ხმაურმა კი ქალის ოჯახის შემწუხებლები გააღვიძა.

არგენტინის პრეზიდენტის შვილმა სახელი შეიცვალა და სქესზე უარი თქვა

არგენტინის პრეზიდენტის შვილმა ესტანისლაო ფერნანდესმა მიიღო პირადობის ეროვნული მოწმობა, რომელშიც სქესი მითითებული არ არის.

ამის მაგივრად შესაბამის გრაფაში ჩაწერილია ნიშანი „X“, რომელიც გაურკვეველ სქესს ნიშნავს. გარდა ამისა, პოლიტიკოსის შვილმა ახალი სახელი აირჩია „TANI“, რაც ესტანისლაოს შემოკლებული ვარიანტია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასული წლის ივლისში ახალგაზრდამ განაცხადა, რომ თავს არაორობით ადამიანად მიიჩნევს. ესტენისლაო კოსპლეითაა დაკავებული და ლგბტ თემის აქტიური მხარდამჭერია. ინსტაგრამში მის გვერდს 438 ათასი ხელმომწერი ჰყავს.

მამაკაცმა სამსახური ვერ იშოვა და მდინარის ხის დაფით გადაცურვა სცადა

ჩინეთის ანხოის პროვინციის მკვიდრმა სხვა ქალაქში სამსახურის შოვნა ვერ შეძლო, დაკარგა საფულე და საბუთები და მდინარე იანძის ხის დაფის დახმარებით გადაცურვა სცადა.

რამდენიმე დღით ადრე მამაკაცი სამუშაოს საძებნელად ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ნანკინში ჩავიდა. მან იქ თავისი პირადობის მოწმობა და საფულე დაკარგა, რის გამოც კორონავირუსზე ტესტის ჩაბარება ვეღარ შეძლო. გარდა ამისა, ჩინელმა ვერც სამსახური მოძებნა და სახლში დაბრუნებაც ვერ შეძლო.

სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა მხოლოდ ის მოიფიქრა, რომ ზურგჩანთა ცარიელი პლასტმასის ბოთლებით გაავსო და მდინარის გადაცურვა ხის დაფით სცადა. თუმცა მამაკაცს მალე გამოეცალა ძალ-ღონე და ის დინებამ გაიტაცა. მან წყლის ზედაპირზე მანამდე მოახერხა თავის შეკავება, სანამ ის ქალაქ ჩუენცზიანის პოლიციის თანამშრომლებმა არ გადაარჩინეს.

ძუ დათვი მანქანაში ჩაიკეტა და სალონი გაანადგურა

აშშ-ში საკვების ძებნაში ძუ დათვი მანქანაში შეძვრა, შიგნით ჩაიკეტა და მისი სალონი მთლიანად გაანადგურა.

აღნიშნული ინციდენტი კოლორადოს შტატის გარფილდის ოლქში მოხდა. 9 აგვისტოს, ღამით, შერიფის ოფისში შევიდა შეტყობინება, რომ დათვი ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ავტომობილში იყო ჩაკეტილი. როდესაც პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, მათ ძუ დათვი მსუბუქი მანქანის უკანა სავარძელზე დახვდათ, ხოლო მისი ორი ბელი გზის მეორე მხარეს მდებარე ხეზე ამძვრალიყო.

შერიფის თანაშემწე მანქანის უკანა კარის გაღებას შეეცადა, მაგრამ ცხოველმა რაღაცნაირად მისი ბლოკირება მოახერხა და სალონის განადგურებას შეუდგა. საბოლოოდ პოლიციელებმა წინა კარის გაღება მოახერხეს, რის შემდეგაც დათვი გარეთ გამოვარდა და ბელებთან ერთად ტყეს შეაფარა თავი.

დაზიანებული მანქანის პატრონმა განაცხადა, რომ გახარებულია, რადგან ძუ დათვის გათავისუფლება მოხერხდა და თან ამ ინციდენტის შედეგად არც ცხოველები და არც ადამიანები არ დაშავებულან.

ადგილობრივმა შერიფმა კი მოსახლეობას მოუწოდა, რომ ავტომობილებში საკვები არ დატოვონ, რათა მათმა სუნმა ცხოველები არ მიიზიდოს და მსგავსი შემთხვევა აღარ მოხდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ილიას ზუროსი: „ვემზადებით მომავალი სეზონისთვის“

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების საზაფხულო შეკრება დასრულდა. არასრულ შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი და მისი ასისტენტები – გეორგიოს ლიმნიატისი, მილოშ გლიგორიევიჩი, მანუჩარ მარკოიშვილი და ანატოლი ბოისა ავარჯიშებდნენ. შეკრებაში მონაწილეობა 25-მა კალათბურთელმა მიიღო, რაც მწვრთნელებს არჩევანის უფრო ფართო არეალს უქმნის. ამასთან, შეკრებაზე გამოძახებული იყვნენ დებიუტანტები, ძირითადად ახალგაზრდები, რაც ახალი სახეების გამოჩენის წინაპირობა და ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესის დამხმარე კომპონენტია.

სამი კვირის განმავლობაში ილიას ზუროსისა და მისი სამწვრთნელო შტაბის მიერ შემუშავებული სპეციალური პროგრამით ვარჯიშობდნენ როგორც გამოცდილი, ისე – ახალგაზრდა კალათბურთელები.

საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ასეთი შემადგენლობა იმყოფებოდა:

თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, გიორგი ცინცაძე, დუდა სანაძე, რატი ანდრონიკაშვილი, გივი ბაქრაძე, ლუკა მაზიაშვილი, ოთარ ფხაკაძე, ლუკა ბულაშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, კახა ჯინჭარაძე, საბა ლობჯანიძე, სანდრო სანაძე, ნიკა ჩეჩელაშვილი, ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, ნიკა მეცხვარიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი კორსანტია, ალექსანდრე ფევაძე, ბექა ბექაური, ნიკა დარბაიძე, ილია ლონდარიძე, გეგი ბაქრაძე, გიორგი ტურძილაძე, გიორგი თვალაბეიშვილი.

ილიას ზუროსი:

– პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო კალათბურთელებსა და კალათბურთის ფედერაციას, რომ კემპის ჩატარების შესაძლებლობა მოგვეცა. გასულ წელს კორონავირუსის გამო შეკრება ვერ მოვახერხეთ. წელს კი, ეს შევძელით და ყველა კალათბურთელის მადლობელი ვარ, რომლებიც შეკრებაზე ჩამოვიდნენ. ყველამ მთელი მონდომებით იმუშავა იმ ასპექტებზე, რისი დახვეწაც ამ შეკრებაზე გვსურდა. კალათბურთელებმა თავი კარგად წარმოაჩინეს, რადგან მათ მომავალი სეზონისთვის ვამზადებთ. ამავდროულად ვცდილობთ, კალათბურთის გამართულად თამაში ვასწავლოთ. ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ და იმედი მაქვს, ნოემბრის მატჩების დროს, მათ ისევ შეხვდები.

საქართველოს ეროვნული ნაკრები მალე შეიტყობს, თუ ვინ შეხვდება მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე, რომლის თამაშებიც სტარტს ნოემბრიდან აიღებს.

ჟოან ლაპორტა: „ბარსელონას ვალი მილიარდ 350 მილიონი ევროა“

ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ გუშინ, 16 აგვისტოს, კლუბში ჩატარებული ფინანსური აუდიტის შესახებ ისაუბრა.

ჟოან ლაპორტა:

– პრესკონფერენცია მოვიწვიე იმისათვის, რათა გარკვეული ფაქტები კონტექსტში ჩავსვა და ავხსნა ის მდგომარეობა, რომელიც კლუბში მოსვლისას დაგვხვდა.

მოსვლისთანავე, იძულებულები ვიყავით, 80 მილიონი ევროს ოდენობის სესხი აგვეღო, რადგან სხვაგვარად ხელფასების გადახდას ვერ შევძლებდით;

ასევე, ვიპოვეთ 2019 წლის ანგარიში, სადაც „კამპ ნოუზე“ არსებული გარკვეული ტიპის დაზიანებებზე იყო საუბარი, რასაც მაყურებლისთვის საფრთხის შექმნა შეეძლო. ჩვენ დროულად ჩავატარეთ სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 1.8 მილიონი ევრო იყო, რათა გულშემატკივრების მიღება შესაძლებელი ყოფილიყო;

კლუბში მოსვლისას აღმოვაჩინეთ, რომ კლუბს სატელევიზიო უფლებებიდან მისაღები შემოსავლის 50% წინასწარ ჰქონდა აღებული;

წინა ბორდის მიერ გატარებული სახელფასო პოლიტიკა იყო არასწორი. ვეტერანებს ჰქონდათ ხანგრძლივი კონტრაქტები, ახალგაზრდებს – მოკლე. ეს ხელშეკრულებების გადახედვის პროცესს ართულებს;

აღმოვაჩინეთ დიდი ოდენობის საკომისიოები, რომლებიც გადახდილი იყო არა ფეხბურთელთა წარმომადგენლებისთვის, არამედ – შუამავლებისთვის;

კლუბს 468 მილიონი ევროს ზარალი აქვს, რაც ლა ლიგას უკვე წარვუდგინეთ. აქედან, პანდემიის მიერ გამოწვეული ზარალის ოდენობა 91 მილიონი ევროა;

სახელფასო ბიუჯეტის მოცულობა 617 მილიონ ევროა, რაც შემოსავლის 103%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ჩვენს კონკურენტებზე 25-30%-ით მეტია;

წინა ხელმძღვანელობა ბიუროკრატიული მანიპულაციების გზით სხვადასხვა კონტრაქტებს შიდა კონტროლისა და ასამბლეის თანხმობის გარეშე დებდა;

ჩვენ 550 მილიონი ევროს ოდენობის, 1.1%-იანი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი ავიღეთ. ამჟამად, კლუბის ვალს 1 მილიარდ 350 მილიონ ევრო შეადგენს. კლუბის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა არის საგანგაშო და დრამატული. სიტუაციის მოგვარებაზე ვმუშაობთ;

ბართომეუსგან მივიღე წერილი, რომელიც ტყუილებით იყო სავსე. მისი მხრიდან, ეს არის გაუმართლებელი გადაწყვეტილებების გამართლების მცდელობა;

ბართომეუს მიერ მოყვანილ რიცხვებს არ ვეთანხმები. ისინი პასუხისმგებლები არიან 2021 წლის 17 მარტამდე კლუბში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა;

ბართომეუ თავის წერილში ხელფასების 90-მილიონიანი დაგეგმილი შემცირების შესახებ საუბრობს. სიმართლე არის ის, რომ ფეხბურთელებს მათთან საუბარიც არ სურდათ;

ის, რომ ჩვენ ნეიმარისთვის 16 მილიონი ევროს ვალი არ გვიპატიებია, არის მორიგი ტყუილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მხარისთვის მორიგება საუკეთესო გამოსავალი იყო;

წინა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სპორტული გადაწყვეტილებები იყო კატასტროფული. მათ ნეიმარის ტრანსფერიდან 222 მილიონი ევრო მიიღებს და ეს თანხა წამში არაპროპორციულად დახარჯეს. რის გამოც ჩვენი სახელფასო და სხვა ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ იზრდება;

იოჰან კრუიფის სახელობის სტადიონის მშენებლობის ბიუჯეტი 4 მილიონ ევროს შეადგენდა, მაგრამ 20 მილიონი ევრო დაჯდა;

თუ ასამბლეა დაფინანსებას დაამტკიცებს, „კამპ ნოუს“ რეკონსტრუქციას 2022 წლის ზაფხულიდან დავიწყებთ.

– შეიტანთ თუ არა სარჩელს სასამართლოში წინა ბორდის წინააღმდეგ?

– ამ კითხვაზე პასუხის ახლა გაცემა ნაადრევია. საკითხის სამართლებრივად უნდა შევისწავლოთ. ფაქტი არის ის, რომ პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ.

– გაიყიდება თუ არა კლუბის აქციები?

– სიტუაცია დრამატულია, მაგრამ კარგი ამბებიც გვაქვს. სტრატეგიული გეგმა, რომელიც ჩვენს ფინანსურს საიმედოობას, გამოცდილებასა და იმ აქტივებს ეფუძნება, რომელიც ბარსელონას გააჩნია, ამ ვითარებას დროებითს ხდის. გრძელვადიან პერიოდში, კლუბი ფინანსურ სიძლიერეს აღიდგენს. ჩვენ გვაქვს ხუთი სასპონსორო შემოთავაზება მაისურთან დაკავშირებით.

– სეზონი უკვე დაიწყო. რა ამბიციები გააჩნია კლუბს?

– ძალიან მოტივირებული ვარ, განსაკუთრებით, სოსიედადთან პირველი თამაშის შემდეგ. თუ ერთიანები ვიქნებით, ახალი ეპოქა წარმატებული იქნება. ფეხბურთელები ძალიან მონდომებულები არიან, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. კუმანი შემადგენლობით კმაყოფილია. ნათლად ვხედავთ, თუ რომელ ფეხბურთელებს ენდობა და რომლებს – არა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მუშაობას გავაგრძელებთ.

– ბოლო დროს კლუბის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება მართებულად მიგაჩნიათ?

– დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად მისაღები გადაწყვეტილებები მივიღეთ, მათ შორის, ლეოს შემთხვევაშიც. ეს იყო სამწუხარო გადაწყვეტილება, მაგრამ – აუცილებელი. ჩვენ ლეოს მადლიერნი სამუდამოდ ვიქნებით. ეს არის სიყვარულის ისტორია, წარმატებებით სავსე მრავალწლიანი ურთიერთობა, რომელიც, სამწუხაროდ, დასრულდა. ეს ცხოვრების კანონია. ლა ლიგა გვარწმუნებდა, რომ მესის დარეგისტრირების საშუალებას მოგვცემდა. როდესაც გავიგეთ, თუ რას ითხოვდნენ სანაცვლოდ, ამაზე უარი ვთქვით.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საქართველოს პარალიმპიური გუნდის წევრმა ტოკიოში დაცვის თანამშრომელს სცემა

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის წევრები კოვიდ-რეგულაციების დარღვევის გამო სკანდალში გაეხვნენ. ამჯერად იაპონიაში პარალიმპიური ნაკრები იმყოფება და გაცილებით ხმაურიანი სკანდალური ფაქტის გამო საქმე პოლიციაშია აღძრული.

იაპონური მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთი ქართველი პარაძიუდოისტი სასტუმროს დაცვის თანამშრომელს ფიზიკურად გაუსწორდა. იწერება ისიც, რომ ეს 34 წლის ზვიად გოგოჭურია (100 კგ), რომელიც რიოს პარალიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია.

საქართველოს პარალიმპიური ნაკრების ერთ-ერთ წევრს კორონავირუსის ტესტზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა და ამის გამო ქართველი პარაძიუდოსტები სასტუმროში, კარანტინტში მოათავსეს. შეზარხოშებულ ქართველ პარასპორტსმენებს დერეფანში ხმაური აუტეხავთ, რის გამოც სასტუმროს დაცვის თანამშრომელს შენიშვნა მიუცია, რასაც კონფლიქტი მოჰყვა.

ქართველმა პარაძიუდოისტმა 60 წლამდე ასაკის მამაკაცს დაზიანებები მიაყენა, რომელსაც დაცემისგან ნეკნი აქვს გატეხილი. პოლიციაში დაკითხვისას აღიარებით ჩვენებაში ნათქვამია, რომ დამნაშავე და მისი თანაგუნდელები აღკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის განცხადებით, დამნაშავე დისკვალიფიცირებული იქნება და სასჯელსაც დამსახურებულად მიიღებს.

შედეგები

15 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა
ნიუკასლი-ვესტ ჰემი 2:4
ტოტენჰემი-სიტი 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა
მაინცი-ლაიფციგი 1:0
კიოლნი-ჰერტა 3:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
ვერდერი-პადერბორნი 1:4
დარმშტადი-ინგოლშტადი 6:1
ჰაიდენჰაიმი-ჰანზა 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
სელტა-ატლეტიკო 1:2
ბარსელონა-სოსიედადი 4:2
სევილია-რაიო 3:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
ხიხონი-ბურგოდი 1:0
ოვიედო-ლუგო 2:2
ლას პალმასი-ვალიდოლიდი 1:1
ფუენლაბრადა-ტენერიფე 1:2

საფრანგეთი. ლიგა 1
ანჟე-ლიონი 3:0
ბრესტი-რენი 1:1
კლერმონი-ტრუა 2:0
ნანტი-მეცი 2:0
რეიმსი-მონპელიე 3:3
ლანსი-სტ.ეტიენი 2:2
მარსელი-ბორდო 2:2

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი
კამბური-გრონინგენი 1:2
ხბოლე-ვიტესი 0:1
უტრეხტი-სპარტა 4:0
ტილბურგი-ფეინოორდი 0:4

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა
პორტიმონენშე-ჟილ ვისენტე 0:1
ფამილიკაო-პორტუ 1:2
სანტა კლარა-მორეირენშე 2:2

ხესული. პრემიერლიგა
ლოკომოტივი-ზენიტი 1:1
კრასნოდარი-არსენალი 3:2
რუბინი-კრილია 1:1

ბელგია. ა დივიზიონი
ბეერსხოტი-სტანდარდი 0:1
გენტი-მეხელენი 2:0
სერკლი-ანდერლეხტი 1:2
ვარეგენი-ბრიუგე 0:4

ავსტრია. ბუნდესლიგა
აუსტრია-კლაგენფურტი 1:1
ლინცერი-შტურმი 1:3
ალტახი-რაპიდი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა
ბაშაქშეჰირი-ალანია 0:1
ადანა-ფენერბახჩე 0:1
ანთალია-გიოზთეფე 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა
ბანიკი-პარდუბიცე 3:1
სლოვაკეკო-ჭრადეც ..... კრალოვე 1:0
ტეპლიცე-იაბლონეცი 1:0
ლიბერეცი-პლზენი 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა
სლასკი-ლენჩნა 0:0
ზაგლებიე-პოგონი 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა
კოლოსი-რუხი 1:1
ლვოვი-ოლექსანდრია 1:1

დანია. სუპერლიგა
ოდენსე-სილკებორგი 1:1
ორხუსი-კოპენჰაგენი 1:3

შვედეთი. ალსვენსკა
დეგერფორსი-ჰაკენი 3:0
მიალბი-დიურგარდენი 0:1
ჰამარბი-ელფსბორგი 0:2
ესტერსტუნდი-ნორრიოპინგი 1:2

ნორვეგია. ელიტასერია
ვიკინგი-მიოლდე 3:2
ლილესტრიომი-ბოდო გლიმტი 0:1
მიონდალენი-რუსენბორგი 1:2
ოდ გრელანდი-ჰაუგესუნდი 4:2
ტრომსო-ვალერენგა 1:1
ბრანი-სანდერფიორდი 3:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 3. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 7. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც გარშემორტყმულია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიით; 9. ცხენების შემსწავლელი დისციპლინა; 13. იტალიური ვერმუტი; 15. აეროპორტი ვარშავაში; 16. თბილისის მერი; 18. ისტორიული შადრევანი რომში.

თარაზულად: 4. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 8. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 10. ქართული ესტრადის მომღერალი ქალი; 11. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 12. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 14. დაბალი ხარისხის ალმასი; 17. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 19. შოკოლადის, შაქრის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 20. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 21. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა; 22. კუთხე საქართველოში; 23. ინგლისური გირვანქა სტერლინგის მეოცედი ნაწილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაუსტი; 2. გალები; 3. ტვიში; 5. ტალი; 6. ჟენევა; 8. აპნისი; 11. ტაქსაფონი; 13. არაბიკა; 14. ბაგრატი; 15. ჰოსტელი; 19. რადა.

თარაზულად: 1. ფარენგეიტი; 4. კურტაჟი; 7. ურთხელი; 9. შუშპარი; 10. შტაბი; 12. კრიჟანგი; 16. რიგოლეტო; 17. ჯანაზი; 18. კრაისლერი; 20. ნოკაუტი; 21. გაჯი; 22. ლომბარდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნოთაობა; 2. დეკანოზი; 3. ატლანტა; 5. კლარჯულა; 7. სტალინი; 9. ბოტულიზმი; 13. ჰილტონი; 15. ქოქოსი; 16. აფონია; 18. აზარი.

თარაზულად: 4. მორიკონე; 6. აპერკოტი; 8. პანჩატანტრა; 10. სალხინო; 11. ტოტი; 12. ანკერი; 14. სქემა; 17. რიტმი; 19. თქეში; 20. ენოლოგია; 21. იკაო; 22. ბოგდიხანი; 23. ჰიბრიდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1386

ევრო — 3.7108

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3570

100 რუსული რუბლი — 4.2316

ამინდის პროგნოზი 17 აგვისტოსათვის

კუმანი: „გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა რეალ სოსიედადთან გამარჯვების შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ძალიან კარგი შედეგი აჩვენა, თუმცა 2 გოლის გაშვება საჭირო არ იყო:

– პირველ ტაიმში შესანიშნავად ვითამაშეთ და მეტოქეს შანსი არ დავუტოვეთ, მაგრამ ბოლო წუთებში კონცენტრაცია დავკარგეთ და ამისთვის კინაღამ დავისაჯეთ. მემფის დეპაიმ კარგი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა პირველ ტაიმში ის უფრო აქტიური იყო.

გიორგი მამარდაშვილი: „მესტალიაზე თამაში ძალიან სასიამოვნოა“

ვალენსიას მეკარემ გიორგი მამარდაშვილმა ვალენსიაში დებიუტზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ეს განსაკუთრებული მომენტი იყო. ქართველმა გოლკიპერმა იმაზეც ისაუბრა, რომ მას სხვა გუნდებიც იწვევდნენ, თუმცა მან არჩევანი ვალენსიაზე გააკეთა:

– ვალენსია ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და მიხარია, რომ აქ ვარ. მესტალიაზე საოცარი ატმოსფეროა და ვალენსიას ძალიან კარგი გულშემატკივარი ჰყავს. იმედი მაქვს, ამ გუნდის ღირსებას დიდხანს დავიცავ.

ალესანდრო ფლორენცი მილანის ფეხბურთელი გახდება

რომას ნახევარმცველი ალესანდრო ფლორენცი დიდი ალბათობით გუნდს დატოვებს და კარიერას მილანში გააგრძელებს. მილანელები მზად არიან, მის ტრანსფერში 15 მილიონი გადაიხადონ და ეს თანხა რომას აკმაყოფილებს.

სავარაუდოდ, ტრანსფერი რამდენიმე დღეში ოფიციალური გახდება და ფლორენცი მილანს შეუერთდება.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლევან მაისაშვილის მდგომარეობა გაუმჯობესდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი, რომელიც კორონავირუსით გამოწვეული სირთულეების გამო თვეზე მეტია საავადმყოფოშია, თავს უკეთ გრძნობს.

მაისაშვილს კორონავირუსი 5 ივლისს, სამხრეთ აფრიკასთან ტესტ-მატჩის შემდეგ დაუდგინდა და მაშინვე იოჰანესბურგის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენჯერმე დამძიმდა. რაგბის კავშირის პრეზიდენტის, იოსებ ტყემალაძის თქმით, ის კვლავ რჩება მართვად სუნთქვაზე, თუმცა თავს უკეთ გრძნობს და პირადად შეძლო კონტაქტზე გამოსვლა.

ექიმების განცხადებით, მთავარი მწვრთნელის მდგომარეობა კვლავ სტაბილურად მძიმედ ფასდება, მაგრამ, თუ გამოჯანმრთელების პროცესი ასეთი ტემპებით გაგრძელდება, დაახლოებით 10 დღეში სუნთქვას უკვე დამოუკიდებლად შეძლებს, ხოლო სრულ რეაბილიტაციას კი 3-6 თვე დასჭირდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

17 აგვისტოსათვის

ვერძი – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მელოტი მამაკაცი ფარმაცევტს ეკითხება:

– თუ გაქვთ თმის ამოსაყვანი რაიმე საშუალება?

– აი, ეს ფლაკონი აიღეთ, ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად. ხედავთ იმ ულვაშებიან ადამიანს სალაროსთან?

– დიახ.

– ჩემი ცოლია. პირით მოინდომა ამ ფლაკონის გახსნა და სწორედ მაგის შემდეგ ამოუვიდა ულვაშები.

●●●

ახალგაზრდა ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როდესაც ოთახში მამაკაცთან ერთი ერთზე ვრჩები, ყოველთვის სექსის მოთხოვნილება მიჩნდება. რა ჰქვია ამ ყოველივეს?

– იღბლიანი შეხვედრა!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემამდე ვინმესთან დადიოდი?

– რა თქმა უნდა, არა, ძვირფასო, ყველას მანქანა ჰყავდა...

●●●

ციხის უფროსი ელექტროსკამზე მჯდომ სიკვდილმისჯილს მიმართავს:

– თქვენი უკანასკნელი სურვილი?

– თუ შეიძლება, ხელი მომკიდეთ, ასე უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავს.

●●●

რესტორანში მისული მამაკაცი შესასვლელთან კითხულობს წარწერას:

– მობრძანდით, მიირთვით, დალიეთ, ყველაფერი უფასოდ, თქვენ მაგივრად თქვენი შვილთაშვილები გადაიხდიან.

მამაკაცი შევიდა, ყველაფერი საუკეთესო შეუკვეთა, ჭამა, დალია და, ის იყო, წამოდგა, რომ ოფიციანტმა ანგარიში მოუტანა.

– ეს რა არის? კი მაგრამ, იქ, შემოსასვლელში, რომ წერია... – ეუბნება მამაკაცი.

– ყველაფერი სწორია, ეს თქვენი დიდი პაპის სადილის ანგარიშია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი კორონამ იმსხვერპლა

კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა. სამწუხარო ინფორმაცია ნინია კაკაბაძემ გაავრცელა. მისი თქმით, ბატონი არჩილი აცრილი არ იყო.

კინომცოდნე მრავალი წლის მანძილზე ქართული კინოს დიდი გულშემატკივარი იყო, ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, მისი წერილები იბეჭდებოდა არაერთ გამოცემაში, იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის მდივანი.

არჩილ შუბაშვილის ორგანიზებით, სხვადასხვა წლებში ქართული კინოს დღეები ჩატარდა თურქეთსა და დანიაში, მისი თანაავტორობით გამოიცა „ქართული მხატვრული კინოს ფილმოგრაფია“, მუშაობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის კონსულტანტად და სცენარისტად.

იგი აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ კინოცენტრთან და არაერთხელ იყო კინოცენტრის კონკურსების საექსპერტო კომისიის წევრი.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „არქივში ჩემი ჩანაწერები აღარ არსებობს“

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი აცხადებს, რომ არქივში მისი ჩანაწერები აღარ არსებობს:

– 90-იან წლებში გამოვდიოდი ინტენსიურად ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, ჩემი ჩანაწერები რატომ არ არსებობს? ბევრი მიფიქრია ამაზე, ბევრი მომსწრე კი არის, მაგრამ ახალგაზრდობას არ უნახავს ჩემი გამოსვლები. მივსულვარ პირველ არხზე და მომითხოვია ჩემი ჩანაწერები. თითქმის ყველა კონცერტში ვიღებდი მონაწილეობას, მაგრამ მეუბნებიან, რომ არქივში ჩემი ჩანაწერები აღარ არსებობს.

ძალიან საწყენია! ვიღაცამ ჩემთვის მოიცალა და გააქრო კონცერტის ჩანაწერები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცხოვრების ახალგაზრდობის ნაწილი გააქრო ვიღაცამ.

გაგიგონიათ ასეთი სიბოროტე? დღესაც არ ვიცი, ვინ ჩაიდინა ეს სისასტიკე ჩემ მიმართ! მხოლოდ რამდენიმე კონცერტი დამრჩა პირად არქივში და რომ ჩამოვალ, აუცილებლად გამოვაქვეყნებ.

ლოკარნოს კინოფესტივალზე გია აგუმავა საუკეთესო მსახიობად დასახელდა

რეჟისორ ელენე ნავერიანის ფილმში „სველი ქვიშა“ შესრულებული როლისთვის მსახიობი გია აგუმავა საუკეთესო მამაკაც მსახიობად დასახელდა.

ეს ფილმი ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობდა.

ნიკა ქავთარაძე: „სად გაქრა გულწრფელი სოლიდარობა?!“

იუმორისტი ნიკა ქავთარაძე საზოგადოების მიერ ერთმანეთის ლანძღვას და შეურაცხყოფას აპროტესტებს:

– ძალიან მინდა, შევქმნათ საზოგადოება, გარემო, ქვეყანა, სადაც არ ვიქნებით ერთმანეთზე ჩასაფრებული, როდის დაუცდება ვინმეს ფეხი, რომ გადავჯეგოთ.

მახსოვს, პატარაობაში, როცა ვიღაცაზე ჭორაობდნენ. ძალიან არასასიამოვნო იყო ხოლმე ყურის მოკვრა. მაგრამ მაშინაც კი, ჭორაობის ბოლოს დასკვნა ძირითადად მაინც ასეთი იყო, ყველამ თავისი საქმე იცის და რაც უნდა, ის ქნას. დრო ადამიანისთვისაც და საზოგადოებისთვისაც გამოცდილების და მეტი თავისუფლების შეძენის საშუალებაა. ჩვენ რატომღაც პირიქით დაგვემართა.

20-25 წლის წინ ბევრად თავისუფალი იყო ქართველის ტვინი. ბევრად თავისუფლად ლაპარაკობდა, ხუმრობდა, მღეროდა, აკრიტიკებდა, ფიქრობდა. ნეტავ რატომ წავედით უკან?! რატომ ჩავიკეტეთ?! რატომ დავკარგეთ სამყაროს ლაღად აღქმის უნარი?! რა უქნეს ამ წლებში ჩვენს ტვინებს ასეთი?! სად გაქრა გულწრფელი სოლიდარობა?!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცს ღამით უცნაური ხმები შემოესმა და უნიტაზში გველი აღმოაჩინა

ავსტრიის ბრაიტენფურტ-ბაი-ვინის კომუნის მკვიდრს ღამით უცნაური ხმები შემოესმა ტუალეტიდან და უნიტაზში ორმეტრიანი გველი აღმოაჩინა. შაბათ ღამით შემოესმა, რომ მისი სახლის ტუალეტში უნიტაზში წყალი თავისით ირეცხებოდა. ის საწოლიდან ადგა და იმის სანახავად გაეშურა, თუ რა ხდებოდა. როდესაც ავსტრიელმა უნიტაზის წყლის ავზს თავსახური ახადა, მასში მოკალათებული უზარმაზარი გველი დაინახა. შეშინებულმა მამაკაცმა იმ წამსვე მაშველები გამოიძახა. მოლდინგის ოლქის სახანძრო ჯგუფის წარმომადგენელმა ლუკას დერკიტსმა განაცხადა, რომ უნიტაზიდან ამოყვანილი ქვეწარმავალი ტყეში გაუშვეს. თუ როგორ აღმოჩნდა გველი უნიტაზის ავზში, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 2. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი; 3. ინდოეთის ეროვნული გმირი; 5. აეროპორტი თელ-ავივში; 6. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი; 8. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 11. თვითმფრინავის კორპუსი; 13. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 14. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 15. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 19. იაპონური ჭიდაობა.

თარაზულად: 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 9. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. კინოცენტრი აშშ-ში; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 17. გულის სისხლძარღვი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 21. კოღოს ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა